

გარეგნული  
ბიზნისი





მ ი ნ ა ა რ ს ი

ქუჩნალ „ჯეჯილისა“


I	სტამბოლი და დარდანელის სრუტე.—სურათი.	530
II	გვრიტი, ზღაპარი შაო მღვიმეჯისა.	531
III	ხან კარგი ხარ—ხან ავი.	534
IV	ბულბულის ნაწერებიდან (დასასრული) თარგმანი ახ. წერეთლისა.	537
V	მდიდარი და ღარიბი, სოფლათ გავონილი გ. დ. ჭრელაშვილისა.	545
VI	მულმივი მოგზაური, ერთი წვეთი წყლის თავგადა- სავალი.	549
VII	წვრილმანი: გამოცანები, ანდაზა, ისტორიული აკროსტიხი, შარადა და სხვა.	560
<hr/>		
VIII	შემოდგომა, ლექსი გ. ჯეჯილისა.	562
IX	ხიმერა, ნატ-გოტორნის ზღაპარი (გაგრძელება) თარგმანი შეშანიკა ასათიანისა.	563
X	ღარაჯი, ლექსი კიკნა-ფეშეჯისა.	570
XI	საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში.	572
XII	ლაუფასებელი ძღვენი. ხალხური თქმულება ად. ჯორჯეჯისა.	573
XIII	პატარა გმირი, (თარგმანი) ანასტასია წერეთლისა.	578
XIV	გაზეთის ისტორია (დასასრული შემდეგ) ა. ფ.-ასი.	575

**ჯეჯილის რედაქციაში მიიღება**

შემოწირულება ჯარში გასულ მეოპართა ოჯახის სასარგებლოდ



ქართული  
ბიბლიოთეკა



საქართველო ნახატებიანი  
ქურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
ლაპურდი, გახდი ყანაო.

ი. დ.


ოქტომბერი, 1914 წ.

◆ წელიწადი მეოცდახუთე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1914



დარდანელის სრუტე, ციხე და სიმაგრეები.



# ბ ვ რ ი ტ ი



(ზღაპარი).

თხვისსათვის არსეინათ  
ძოსასლობდა ერთი გვრიტი,  
ჭეაუდა ორათ-ორი ბარტყი,  
ორიუ გულის მარგალიტი.

ერთხელ დილით სეჭმლისათვის  
ძინდერისაკენ გაემურა;  
რა მობრუნდა შეკრთა მწარეთ,  
გული უცბათ დაესურა.

ვიღაც ბორბოტს საბრალონი  
ამოესხა ბუდიდანა,  
აღარც ერთი არ გაემჟა,  
ორივე თან წაეყვანა.

იმავ წუთში დედა-გვრიტი  
სამებნელათ გაეჩქარა;  
გულ-დამწვარს და ელდიანსა  
წინ ძამალი შეეყარა.

- გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავ?
- შვილებისკენ სამებნელათ;
- მეც საშველათ წამიყვანე,
- თუ საქმე გაქვს ძარბლა ძნელათ.

მ. დლი უთხრა გვრიტმა ძამალს,  
არ გაუსდა უჯიბთი;

66861

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



იარეს და ცოტა ქვემოთ  
 ახლა შესვდათ წინ მახათი.

რომ მეტი არ გავაჭრელო  
 და რომ მეტი ღარბ ვთქვა,  
 მამალს და გვრიტს შეეფეთენ  
 კუდა ვირი და ფილთაქვა.

რა გაიგეს გვრიტის საქმე,  
 მონდომეს მათაც შველა  
 და ბარტყების საძებნელათ  
 დაქვეითდნენ ერთად ეველა.

იარეს და გავლიეს გსა,  
 მიატანეს სოფლის ჰირსა,  
 ჩამიჩუბი არ ისმოდა,  
 მისცემოდა ეველა მილსა.

ჯამე იყო გადახული,  
 ჰირველ მამლის ეივილისა,  
 ერთ ქონიდან რო მოესმათ  
 სმა ბარტყების წივილისა.

ეველამ იმ სახლს მიატანა  
 და ასეთი დასდეს ჰირი:  
 ოთხნი შიგნით შესულიყვნენ  
 გარეთ ყოფილიყო ვირი.

შეიპარნენ, მამალს შესვდა  
 სადარაჯოთ ბუსრის თავი,  
 ფილთა ქვა კი ღვლეფში შეძვრა,  
 გაიწირა მძისთვის თავი.

არც მახათმა ილოდინა  
 ღრმათ დაერწო ბუსრის წინა,

ერეკლესული  
 ბიბლიოთეკა  
 1950

გვრიტმა კარის გასაღებათ  
გაღიისკენ გადიფრინა.

გლესმა კაცმა გაიღვიძა  
ფაცი-ფუცს რა მოჰქვრბ ეური,  
წამოფარდა, ეცა ბუსარს  
და დაუწყო ღველფს ჩუხსური.


საფილე ქვა გატეფრბ უცბათ,  
შეაყარბ ნაღვერდალი,  
ბარმაუშიაც ძანათ გაურილს  
დაჰეიოდა თავს ძამალი.

ვირი ჩუმათ იღვა გარეთ,  
კარებთან რა ღიტუსა,  
გარეთ გამოფარდნილ ზატრონს  
ერთი კაი წისლი დრუსა.

გლესი თავსარ დაცემული,  
შიძისაგან აბნეული,  
სად გარბოდა არ იცოდა,  
დაფანტული, დაბნეული.

ამ დროს გვრიტმა ისარკებლა,  
დრო და ჟამი არ ახანა,  
გამოუღო კარი ბარტეებს  
და ბუღისკენ გააქანა.

შიო მღვიმელი.



## ხან კარგი ხარ--ხან ავი.



ქელის ქურდობა ახალი ამბავი არ არის. ერთხელ მან საქათმედან მოიპარა ორი ქათამი: ერთი იმავე წამს შესჭამა, მეორე ჩუმად მიწაში ჩაფლავდა. — როდესაც მოძივდა, ფიქრობს ქელია, — შენასული რომ შექნება ამოვიღებ და შევჭამო...

ერთი რუსი მკელი მოძორებოთ იწვა და ევკლაფერს სედავდა, როგორც კი ქელია იმ ადგილს ცოტათი გაძორდა, მკელი წამოვარდა, ჩაფლული ქათამი ამოიღო და ჭამა დაუწყო. მოიხედა ქელიამ და რომ დანახა მკელი ქათამს ჰპარავდა, მოჭევა ისეთ ჭეივილს და კივილს, რომ მთელი ტყეშესძრა.

— ვინა ხარო ქრისტიანები! სედავთ რა უსიამოვნება მომაყენეს! იმ რუს მკელმა ასე ამკარათ გამცარცვა, უსამართლოთ მომექცა!

ამ ევირილზე ყოველი მხრიდან მხეცებმა თავი მოიყარეს, სტაცეს მკელს ხელი და მიიყვანეს სამჯავროში. ტყეში სამართალს სჭრიდა ბებერი, ასი



წლის, უვაჟი. ძელია ჩაუვარდა ფესქვეშ და მოუვებ ვედრებას:

— ბატონო მსაჯულო, მოწუბლება მოიღე უბედურ, უძწეოზე! მკელმა უსამართლობა ჩაიდინა!

მოხუცმა უვაჟმა მოუსმინა ძელიას საჩივარი და თქვა:

— მართალი ხარ! მკელი ძალიან დაძანაძავა და ის უნდა სამაგალითოთ დაისაჯოს.

ძელია სინარულით ცას სწვდებოდა.

— აი მსაჯული ამისთანა უნდა: ბრძენი, სამართლიანი და საქმის სწრაფლათ გამკეთებელი.

— ხოლო ის კი უნდა შევიტეო, ნათლია ჩემო, უთხრა უცბათ უვაჟმა ძელიას... სად იშოვე ეკ ქათამი?

შეკრთა ძელია. თვალები ძირს დაუშვა.

— რაკორ თუ სად იშოვა! წამოიძახა დედოფალამ, — განა ძნელი გამოსაცნობია? ძელია ქათამს საქათმიდან მოიპარავდა!

— თუ აგრეა, უთხრა ძელიას მსაჯულმა უვაჟმა, მენც უნდა სასტიკათ დაისაჯო...

ძელიამ ზირი გაიბრუნა და ბუდღუნს მოჭკევა.

— კაი მსაჯული კი ბრძანებულა! მაგისთანა სამართალი გროძათაც არა ღირს. ვიღაც უვაჟი და აბრძანეს მსაჯულათ, რომელიც ჩხავილის მეტს არაფერს აკეთებს.

ამაზე უვაჟს გაეცინა და უთხრა:

— მე თავხედო, მოგწონს განა, როდესაც მენს



სასარგებლოთ განაჩენს ვადგენ, შენ კი გინდა დაუს-  
ჯელებთ იპარო? ვერ მოგართვი, თუ დანაშაული ხარ  
უნდა კიდევ დაისაჯო. ამას თავს ვერ ააცდენ და  
კასცა ბრძანება:

— ძელია ახლავე წაიუვანეთ და ორი დღით და-  
ამწვევდიეთ, მკელიც მიაყოლეთ თან, ისიც ორი დღით  
ბუნაგში ჩააგდეთ.



# ბუღბუღის ნაწერებიდან.

(დასასრული)



ველჯფერი აუვაუბუღი  
დაგვისვდა სამძობლოში.  
ბაღბანი ზურმუხტით  
მწვანე იყო. ახლათ გამ-  
ლილი არეის ხის თეთ-  
რი ფოთლები ვერცხლი-  
ვით ბრწეინავდენ. რა სიხარულით, რა სასოებით მი-  
ვეგებეთ ჩვენ ბუნებას! ჩემმა დედამამ ისევ შარშან-  
დელ ბუღეს მიმართეს, მე კი გზაში ნაშოვნი მეგობ-  
რით გავწიე იასამნის ბუჩქში, იმ დიდ მძულში, სა-  
დაც წინეთ მარტო ვცხოვრობდი. ჩვენ შეუდექით ბუ-  
ღის გაკეთებას. რა სიამოვნებით, რა მოთმინებით  
დავიწეეთ მუშაობა ჩვენი მომავალი შვილებისთვის!  
ჩვენ ვზიდავდით ფიჩხს, ჩინჩხრებს და ჩალის ფუჩჩებს,  
გამსძარ ფოთლებს და ცხენის ძუას, რომელსაც  
ვაოულობდით თავლაში. ბედურებთან ერთათ ხალხის  
წინ დავსტოდით, ეურადღებას არავინ გვაქცევდა. რო-  
დესაც ბუღე მოვამზადე, ჩემმა მეგობარმა დასდო ექვსი  
მომწვანო კვერცხი და ზედ დაჯდა ბარტყების გამო-  
საჩეკათ. რომ არ მოსწეენოდა ბუღის ახლო ერთი  
დიდი ხის ტოტზე დაუჯდებოდრი და ვუგალობდრი. რო-



გორც კი დადგებოდა საღამო ქაძი და იასამნის სუ-  
 ნი ერთი ორათ მეტათ გაისმოდა, მე მოვევებოდი სტეკ-  
 ნას და ძის ამოსვლამდის ჩემი გალობა მთელ არე-  
 მარეში გაისმოდა. მე ჯერ ჯველი ვიუავი და ვცდი-  
 ლობდი შიშებამნა მამისათვის. მისი გალობა მოი-  
 სმოდა მასლობელ ტუიდან და მეც გულმოდგინეთ  
 ვუსმენდი. მაგრამ მალე მე გავასწარი ძას, უფრო  
 ტკიბლათ ვგალობდი, სიამოვნებით თვალებს ვსუ-  
 ჭავდი, როდესაც ჩემ გარშემო ხალსი ჩუმათ, განცვი-  
 ფრებით უურს მიგდებდა, თითქოს სუნთქვასაც კი ვერა-  
 ბედავდენ. მე ოცდაოთხს ნაირი სიმღერა ვიცოდდი, გა-  
 დამეტება არ იქნება რომ ვთქვა, ჩემი გალობა მიუ-  
 გვანებოდა ფლეიტის ნახს სმას, ხან ნაკადულის რაკ-  
 რაკს და ხან საღამურის სტვენას.

— ეჰ, მკელს კი შეუჭამისარ! მეჭევირებდა სძი-  
 რათ ამ ძამულის ჰატრონი, — არ მინდა დავიძრო  
 ადგილიდან. სულ მინდა ასე ვიჯდე და სმენათ ვა-  
 დავიქცე.

ამას რომ გავიგონებდი უფრო ეძხით მოვევებოდი  
 გალობას, თვალებს დავბჟუტავდა და ჩემი სტვენა —  
 რაკრაკი მთელ არემარეს ატკობდა.

უსებათ უბედურება დატროილდა.

— გაფრთხილდი! — დამიუვირა ბუდიდან ჩემმა მეუ-  
 ლლემ, — გაფრინდი, თავს უშკელე!



გავიხედე და კატა დავინახე სულ ახლოს ჩემთან. ბნელაში ავალები უბრწყინავდა, ჩუმათ მომეპარებოდა და ის იყო თათი ჩემკენ გამოეწვდინა. მე შევკრთი, უნდა გაუფრენილიყავ, რომ სწრაფათ მომეპარდა, ბრჭყალები გამიყარა, მომიტაცა და გაექანა სასლისკენ. თვალებში დამიბნელდა.

— დახეთ, დახეთ ჩვენს ცაცოს, მოისმა ემაწვილების სმა, -- რაღასაც მოარბენინებს, უეუროთ! ჩიტი დაუჭერია!

მაშინვე თვითონ მეძამულე მივარდა კატას და წაართვა ჩემი თავი.

— ეს ჩვენი ბუღბუღია! — დადონებით თქვამან, — საბრალო! ახლა ვიღა გვასიამოვნებს თავისი გალობით.

მან დამისკა ხელის გულზე და ალერსით სულს მიბერავდა. ემაწვილები შეწუხებულები გარს შემომეხვიენ და სიევ რულით მიცქეროდენ. კატამ მოასწრო გაქცევა.

— საწუალი! — ამბობდენ ემაწვილები, — უეურო, მამაკ, ფრთაზე სისხლი აქვს.

მე გონება დამეკარგა.

როდესაც გონზე მოვედი, გაღიაში ვნახე ჩემი თავი. საშინლათ მომწეურდა. ჯამიდან წუალი დავლიე და სული ისე მოვიბრუნე. მთელი სხეული მტკიოდა, ფრთა დაშავებული მქონდა, ვერა ვსძარბოდი. მაგრამ სსვა ფრივ არა მიძავდა რა, ძალე მოვრჩებოდი.

ახლა დაიწყო ჩემი ტანჯვის დღეები. ვიწრო გაღიაში ვიჯექი, რომელიც სულ ძალა ჭერთან.



იყო ჩამოკიდებელი, ვიყავ სულ მარტო, აბუსუსული და ვნადვლობდი. გარეთ საფხული იდგა, ეკავილები ქვე-  
ოდენ, მზე მსიარულათ ანათებდა, ფრინველები ჭიკ-  
ჭიკობდენ, მაგრამ მე თვალში არაფერი მომდიოდა.  
ვნადვლობდი რომ გვერდით ჩემი მეგობარი არა მყავ-  
და, თავისუფალი აღარ ვიყავ, სადღა იყო სიმღერა.  
მეხლადული დავსტოვდი გალიაში, ერთი ქანდარიდან  
მეორეზე ვსტოვდი. საშინელი დღეები გამოვიარე! რამ-  
დენი ოსვრა, რამდენი ცრემლი დავღვარე ამ ტუვეო-  
ბაში—ვინ მოსთვლის. ამ გალიაში რანაირ ვიწრო-  
ობას ვგრძნობდი, აქამდის კი მთელ ქვეყანას ვთვლი-  
დი ჩემ ბინათ. დღეები გადიოდა და ბოლოს შევეჩვიე  
ჩემ ბედს, ჩავჩუმიდი, აღარ ვუარსხლობდი გალიაში  
მოუსვენრათ. აღარც ადამიანებს ვაქცევდი უურადე-  
ბას. როდესაც სახლის ჰატრონის მოსამსახურე მო-  
ვიდოდა გალიის ჩამოსადებათ, რომ საჭმელი მოეცა  
ჩემთვის და წყალი გამოეცვალა, მე მივიკუნტებოდი  
კუთსემა. მსოფლიო ერთსეჟ მარიაპობისთვის გასულს  
ვიგრძენ რაღაც მოუსვენრობა და დავიწეე ფოსრიალი  
ჩემ საპერობილეში.

— მოვიდა ამათი გადაფრენის დრო ცხელს ქვე-  
ენებში.—უთხრა სახლის ჰატრონმა თავის შვილებს.—  
გრძნობს რომ იმისიანები მალე გაფრინდებიან და ღე-  
ლაფს.

— მაშ, მაშავ, განთავისუფლე ეგ საბრალო!  
უთხრა უნცროსმა შვილმა სერგომ,—დეე, ეგეც იმა-  
თთან გაფრინდეს!

— არა, არ შეიძლება!—ცოტა დაფიქრების შემ-

დეკ უთხრა მამამ, — ვაი თუ გადაეხვია ფრენას სელასლათ ჩავარდეს კატის კლანჭებში. გასაფხულადმდის მოუცადოთ. ეკ მაინც თბილ ქვეყნებამდის ვერ მიაღწევს.

ძალიან სცდებოდა ჩემი მოკეთე მუარკველი. არა მიჭირდა რა, სრულებით კარგათ ვიყავი. რას არ მიუცემდი, რომ გავენთავისუფლებინე. მოუსვენრობა და აღელვება ჩემში არა სცხრებოდა. სადღაც მორისკენ, უცხო ადგილი მიტაცებდა. ვახლიდი თავს გალიის იატაკს და ქანდარებს. თავიდან სისხლი წამომივიდა.

ერთხელ სასლში როდესაც სიჩუმე იყო შემოვიდა ჰატარა სერგო. მან გასწია ვანზე მაგიდა, დაიდგა სკამი, სკამზე დიდრონი, სქელი წიგნები დალაგა, შედგა ზედ, მოსსნა გალია, ფანჯარა გააღო, მამიტანა მასთან და გალიის კარი გაძილო.

— გაფრინდი ჩემო კარგო! — აღერსით თქვა მან, — შენ აქ მოწყენილი ხარ! განთავისუფლდი!

მე გამოფრინდი გალიიდან და გავემურე ჩემ ბუდისკენ. რა სიამოვნებით და თავისუფლად ამოვიხუნთქე მშვენიერი ჰაერი! რა ატაცებით შევცქეროდი ხეებს და ცხოველ მხის ჩასვლას! ფრთები დასუსტებული მქონდა ტუვეობის გამო და ძალე დავიღალე, იქვე მასლობელ შტოზე დავჯექი დასასვენებლათ. მორიდან ვსედავდი სერგო როგორ მოძორდა ფანჯარას, მისდგა მაგიდა და სკამი თავის ადგილას, მიაწყო წიგნები. მერე მოვიდა სელ ასლათ ფანჯარასთან, ჩემკენ გამოიხედა, აღერსით და თანაც ნაღვლიანათ თქვა:



— მშვიდობით ჩემო ბუღბუღო! ბედნიერად იყავი! და მიიძალა ოთახებში.

მე მოვედი გონზე, მოვიკრიფე ძალა და ჩემ ბუღბუღს გაგფრინდი, მაგრამ იქ აღარავინ დამისვდა. ნაჭურჭები და მწერების ნაკლეჯები რომ დავინახე — მივსვდი რომ შვილები მეოლია, რომ დედას უჩემოთ გამოუკვებია ისინი. საბოლოო! ვინ იცის რა მხელი იყო მარტოთ მარტო მათი გამოკვება!

ღამე მე გავატარე ჩემ ბუღბუღში. საღამო ჟამს მომესმა სახლის ჰატრონის სმა ძალადი ბრძანება:

— გესმით, კატა აღარ გააჭაჭანოთ სახლში, მათი სსენება გაწიედეს. ბუღბუღები დამიფთხეს! თვალით არ დამანახოთ, მიეცით მესობლებს. გალიაშიც კი არ დამიყენეს ბუღბუღი! ისე ძაღლაც კი მიაგნეს.

მე გავეწიე მამიჩემის ბუღბუღს.

— გამარჯვება! უცბათ მომესმა მსიარული სმა, — ეს ვისა ვსვდავ?

მივისედე და დავინახე ჩემი მეგობარი — მეუღლე. ის იჯდა სის ტოტზე და ერთი თათით ცრემლებს იწმენდა. მეც ტირილს მოვეუგვი

— როგორ გამსდარსნარ, — თქვა მან, — შენი ფრთები რას დაჭკვანებია!

მე სიხარულის ცრემლები გადმომდიოდა.

— აი ჩვენი შვილები! — თქვა ბოლოს მან და მიძახედა ოთხ ბუღბუღს, რომელნიც მწუბრათ ისხდნენ იმავე ბუჩქზე. ეტუბოდათ კარგი მკალობელნი უნდა ეოფილიყვნ.

მერე ჩემთან მოფრინდენ დედამა, ჩემი ძმები



და დაიები თავიანთი ოჯახობით, შემოგვიერთდენ ჩვენ  
ნი შვილებიც და ვეკლანი მოვემზადეთ გადასაზრენათ.

ჩვენ დიდხანს ვემზადებოდით, დიდხანს ფრთებს  
ვაპარჯიშებდით და ბოლოს გაფურინდით მთელ გუნ  
დით. ბელადთ მამახეში იყო. აი, ჩვენ ქვევით ადრინ-  
დელივით გაიფინა ტყეები, მინდორ-ველები, მერე  
სძელთა შუა და შავი ხელები და ასე შევედით ეკვიპ-  
ტში; იქ გასაფხულაძდის ვეკლანი ერთათ ვცნოვ-  
რობდით და აპრილში ისევ დაუბრუნდით ჩვენ სამ-  
შობლოში.

— საით წავიდეთ? — მოძიბრუნდა და მკითხა ჩემმა  
მეგობარმა-მეუღლემ. — ბუღის გასაკეთებლათ სხვა უფ-  
რო მარჯვე ადგილი სომ არ მოვძებნოთ?

არა, ვუპასუხე მე, — ბუღბუღი სასოგადოთ იკე-  
თებს ბინას იმავე ადგილას, იმავე ბუჩქში, სწორეთ  
იმ ბუღში, სადაც ჰირველათ გამოჩეკა ბარტყები.  
მიფურინდეთ ისევ ჩვენ იასამნის ბუჩქში!

— მერე, კატა?

— არა უჭირს რა, დმეღთი მოწვალეა!... მგონი  
იქ სულ გასწევიტეს ისინი!

ჩვენ ხელახლათ მოვეწევეთ წინანდელ ბუღში.  
კატები ძართლა სულ აღარ იუვენ. როდესაც დაბინდ-  
დებოდა და ჩაჩუშებული არე მარე მოიფინებოდა შა-  
ვი ხეწრით მე შევჯდებოდი ხის ტოტზე და მოვუყე-  
ბოდი ვალობას. ახლაც, როგორც წინა წელს გა-  
მოვიდოდა სახლის პატრონი თავის ცოლ-შვილით  
ჩემი ვალობის მოსასმენლათ.

— ჭე! მკელს კი შეუჭამისარ! რა მძვენვირათ გა-  
ლობ, — აღმატებით წამოიყვირებდა.



იქვე, სასლის კიბის საფეხურსე იჯდა სოლმე მისი ჰატარბ ვაყი სერგო, ნიკანსე სელ მიბჯენილი, ოცნებით გატაცებული, ისმენდა ჩემ ვალობას.

ნეტა რას ფიქრობდა სერგო ახლან? იკონებდა თუ არა, რომ მან მომცა თავისუფლება? იცოდა რომ მე სწორეთ ის ბუღბული ვარ, რომელიც თავის გულკეთილობით განთავისუფლან? მე ვას ფასებდა მის გულკეთილობას, უსასღვრო მადლობელი გიუხვი მისი და მსოლოთ მისთვის ვვალობდი. ვარშემო კი მრისმობდა ჩვეულებრივი ჭრიჭინი და ჭაობიდან ბაუაყების ვიუნი.

(თარგმანი)

ანასტასია წერეთლისა.





# მდიდარი და ღარიბი.

(სოფლათ გაგონილი)



რთ სასულემწიფოში ცხოვრობდა ერთი მდიდარი. მის სიმდიდრეს არა ჰქონდა სათვალავი. იმასა ჰქვანდა ერთი ვაჟი-შვილი. იქვე მდიდრის გვერდით ცხოვრობდა შუათანა ქონების კაცი. იმაზე უფრო ითქმობდა ღარიბი და არა მდიდარი. ვინც მდიდართან მივიდოდა სათხოვნელათ მოწყალების ნაცვლათ გალანძლავ-

და და ცემა-ტყეპით გამოეგდებდა. ღარიბთან კი ვინც მივიდოდა არავის უნუგეშოთ არ გაუშვებდა, რითაც იქნებოდა ზატყვსა სცემდა. გავიდა დრო, გარდაიცვალა მდიდარი. შვილმა შეატყობინა სოფელს მამის გარდაცვალება, მაგრამ საფლავის გასათხრელათაც არა ვინ გაჰქვია და არც სამარის კარს მიიტანეს მიცვალებულს. რა ექნა შვილს, ადგა და მამას თითონ გაუთხარა სამარე და დაასაფლავა. ცოტა ხნის შუადგე გარდაიცვალა ღარიბიც. გაიგო თუ არა ხალხმა მისი სიკვდილი, შეიგრიფენ და ისეთი ზეიმით დასაფლავეს, რომ მაგალითიც არავის ენასა. მდიდრის შვილი დააფიქრდა ამაზე და დასკვნა: „მამჩემი ასე

86861

საქართველოს  
პალატა

საქართველოს



უკადრისათ სიმდიდრემ და მოწველების გამოწვევით  
ბამ გაჭხადაა“.

ადგა, რაცუკი რამ სახადებელი ჭქონდა დაურობა  
ხალსს, თითონ ჯონი აიღო და მოძორდა იმ არე  
მარეს. ბევრი იარა თუ ცოტა—მივიდა ერთ დაბუ-  
რულ ტყეში და დაიწყო იქ ცხოვრება. თავს სილი-  
თა და ბალახეულობით იკვებავდა. სადგომათ ერთ  
გამოქვანულში მოეწყო. ერთხელ ემაწვილს ემინა  
და რაღაც ხმაურობა მოესმა, წამოდგა და დაუწყო  
გამოქვანულს გარშემო თვალიერება. ნახა, რომ გა-  
მოქვანულს ერთ მხარეს კარი აქვს და შიგ დიდი  
უხარმახარი დარბაზია სულ თვალითა და მარჯალი-  
ტით გატენილი. შეეშინდა ემაწვილს.

— უჭ, ღმერთო რა შეგცოდე, რომ სიმდიდრეს  
გამიკვებდი და სიმდიდრეზევე მიმაყენეო. ეს სო მეც  
ისე წამწემენდს, როგორც ძამაჩემი წაწედაო, რო  
კაცი მოკვდა და ცრემლიც არავინ აღირსაო.

ადგა, აიღო თავისი ბარგი და მოძორდა იმ არე-  
მარესაც. დიდხანს იარა ტყეთ და ველათ და იმას შე  
ადამიანი არავინ შეჭხვედრია. იყო მოხვეწებით და  
ღმერთს ესვეწებოდა არ მიერგუნა მისთვის ძამასავით  
უკანასკნელობა. ერთ დღეს წყალი მოსწეურდა და  
წელის დასალევანთ მივიდა წყაროსთან. დაინახა, რომ  
გზახედ სამი ცხენოსანი მიდის. უნდოდა ხეს მოჭ-  
ფარებოდა, რომ არ დაეხახათ, მაგრამ იმათ თვალი  
შეასწრეს და გამოეხურენ მისკენ. ცხენ და ცხენ შემოუ-  
ტის ემაწვილს და შეეკითხენ, ვინა და საიდანა ხარ  
ამ ჩვენ საბრძანებელშიო.



თურმე ნუ იტყვით, ეს ცხენოსნები უჩაღები ყოფილან. ემაწვილმა უთხრა თავისი ვინაობა, მაგრამ უჩაღებმა არ დაუჯერეს. მოინდომეს მისი სიკვდილი, რომ იმას არ გაეცა ისინი. მაშინ უეცრათ ემაწვილმა მოიგონა გამოქვაბული და სიმდიდრე და უთხრა, თქვენ ჩემს მოკვლას აპირებთ და არ ვიცი რას გამოიჩებითო. თუ დოვლათი გინდათ, გაჩვენებთ იმდენს, რომ ვერცაჟი დასთვალათო. უჩაღებს ტყუილი ეგონათ და უთხრეს: აბა სად იცა სიმდიდრეო, ემაწვილმა წაიფანა უჩაღები, უჩვენა ოქროსვერცხლი და სთხოვა გაენთავისუფლებინათ. იმათ ისე გაეხარდათ სიმდიდრე, რომ ემაწვილი სისარულით მოიმორეს თავიდან.

დასსდენ უჩაღები და დაიწვეს საუბარი: რა უეონ ამდენ სიმდიდრეს, მერე გადასწვევითეს: ალაგი უყვალონ და სადმე მიუვალ ადგილას გადაიტანონ. და კიდევ გადასიღეს ერთ მიუდგომელ კლდე-ღრეში. ამ ქუშაობის დროს მოჰმედათ ჰური. ახლო არსად არა იმოვებოდა რა, უეჭველათ ერთი მათგანი უნდა ძალვით შესულიყო რომელსამე სოფელში და ევიდნა საგძალი. ჰურეს კენჭი და კენჭის ერთ ერთი მათგანი გაემკსავრა სოფელში საგძლის საყიდლათ. მივიდა სოფელში, ივიდა ფქვილი. ახლა უნდა გამოეცნო ჰური. სის და ფიქრობს თავისთვის: როგორ უნდა მოვასერსო, რომ ის ცხოვრება სულ მე დამჩესო. იფიქრ და გადასწვევით: მოდი ჰურს გამოვაცნობ, შიგ სიბაღს აურეკე, მიუტან თუ არა, მიგსევიან ჰურს, სჭამენ და დაისოცებიან, სიმდიდრე მე



დამტყუებ. გამოაცხო ჰური, აურია შიგნითადაც  
 ხანაწყო სურჯინში და გასწია ამხანაგებისაკენ. სანამ  
 ეს ამხანაგებთან მივიდოდა იმ ორმა მოილანარბაკეს,  
 როგორ მოვასერსოთ, რომ ეს სიმდიდრე მარტო ჩვენ  
 დაგვტყუებს. მოილანარბაკეს და ასე გადასწევითეს: მო-  
 ვა თუ არა ჩვენი ამხანაგი, შარი მოუდოთ რაშიე.  
 მოვკლათ და სიმდიდრე ჩვენ დაგვტყუებო. მივიდა  
 ამხანაგი. წამოუსტენ ორივე და შეუვეროეს: „ჭაი შე-  
 ესეთ-ისეთო, რაზედ დაგვსოცე შიმშილითო!“ და აკუ-  
 წეს. მერე არსეინათ დასხდენ და გამოძეენ მოწამ-  
 ლული ჰურით, მალე სიბაღი მოერიათ და ორივენი  
 დანსოცენ. გავიდა კარვა სანი და ქვაბში ნამყოფმა  
 ემაწვილმა იფიქრა: წავალ ერთი, გავიგებ რა უვეეს  
 უჩაღებმა ამდენ დოვლათსაო. მივიდა ქვაბში, ნახა  
 რომ იქ აღარაფერი იყო და წავიდა კვალსედ-  
 მიადგა ერთ სეგში სამივე უჩაღის ჩონჩხებს, იქვე  
 გვერდსე იყო სელ-უსლებელი თვალ-მარგალიტის  
 გროვა. შეჭსედა ემაწვილმა, შეეხარა და გამობრუნდა  
 შემდეგის სიტყვებით:

წეეულს რომ იტყვიან ეს არიო.

მივიდა თავის ნადგომ გამოქვაბულში და წინან-  
 დელივით დაიწყო ცხოვრება. დღესაც სოფლათ ამბო-  
 ბენ: ერთ მთაში სცნოვრობს ერთი მოხუცი და საგ-  
 ძაღს ყორანი უხიდავსო.

გ. დ. ჭრელაშვილი.



## მუღვივი მოგზაური

(ერთი წყეთი წელის იანვრისთვის).



ატარა თინამ თავის დაბადების დღეს დილა ადრინ კაიღვიძა და დანახა მაგიდაზე ვეზვილების მშვენიერი თაიგული. სასქაროთ წამოხტა ლოგინიდან და აღტაცებით შესძახა:

— ოს! რა მშვენიერი თაიგულია! უთუოთ ჩემმა საუვარეღმა გადიამ მახუქა ჩემ დაბადების დღეს! მან სომ კარგათ იცის რა ძლიერ მიუვარს ვეზვილები! ჩვენი მეზობლის ბალი სასესეა ვეზვილებით, მე ღობიდან ვხედავ და ვსტკებუბი მათი ცქერით! გმადლობ, ჩემო საუვარელო გამდელო, შენ არასოდეს არ მიუიწეებ! სთქვა თინამ და დაუწეო ვეზვილებს გასინჯვა.

— აი ლამაზი შრომანა, თითქო თავს მიკრავს, დილის სალამს მიძღვნის“, — ტიკტიკებდა ვატარა. — აი ნახი ია რა ალერსით შემომცქერის თავის ლურჯი თვალებით. ხედავთ, ხედავთ, ცისფერი თაგვის-ეურა, წითელი ზამბახი, ვვითელ-გულა გვირილა, სოსანი, იასამანი — ეველანი გარს შემოხვე-



ვიან თავიანთ დიდებულ დედოფალს—ვარდს, რომელიც ირგვლივ აფრქვევს მშვენიერ სურნელებას, ეველანი მოსულან ჩემთან, ეველანი მილოცვენ და ბადების დღეს!“

თინამ ეველას მიუაღერსა, ეველას მადლობა უძღვსა, ნაზათ მიეაძობორა, ძერე ისევ ჩაწვა ღოგინში და თავი უღს იქიდან დაუწეო ცქერა. მან უცებ შენიშნა შრომანას თეთრ ფოთოლზე წულის ბრწყინვალე წვეთი.

— საიდან გაჩნდა ნეტა ეს წვეთი აქ! უთუოთ შრომანა ტირის! ნეტა რა ატირებს შრომანას, ეველანი მსიარულათ შემომცქერიან, ეს კი ტირის, დამერთო ჩემო, რათა ტირის! რათ ჩაუქინდრავს თავი? უთუოთ მისთვის, რომ თავის ბადს მოაშორებს და ამ ჭიქაში ჩასვებს? საწუალი შრომანა!

თინა დაღონებული ჩაფიქრდა, უეცრათ თავი უღიდან მოესმა შრომანას წენარში სმა:—შენ სცდები, ზატარა ქალო! ეს წვეთი ჩემი ცრემლი არ არის. წუსელის დაეცა ზევიდან ჩემს ფოთოლს. საიდან გაჩნდა კი არც მე ვიცი, ჰკითხე თვითონ მას, იქნება ვითხრას რაზე.

წულის წვეთმა აღარ დაუცადა რომ გოგონას ვკითხნა და მოჰქვია წკრიბლა ხმით.

— ვინაიდან დღეს შენი დაბადების დღეა, ზატარა ქალო, მზათ ვარ მეც განიამოვნო და ვინამო ჩემი თავგადასავალი. დაე, ლამაზმა შრომანამაც დასმიგდოს ყური და ასლოთ ვამიცნოს.

ბავშვი სმენათ ვადიქცა.



— დიდი ხანია, ძრეულ დიდი ხანი, — დაიწყო წვეთმა, — რაც მე ვცოცხლობ ამ ქვეყანაზე; ჩემი სამ-  
ძობლო არის შორეული, თბილი ვეებერთელა უფსკ-  
რული ოკეანე; ამ სახელს უწოდებს ხალხი იმ უზარ-  
მასარ მარლიანსი წულის სივრცეს, რომელიც ჭფარავს  
დედამიწის თითქმის ორ მესამედ ნაწილს. როგორ  
გაოცდები შენ რომ ვინმემ ჩაგიყვანოს ზღვის ძირ-  
ში! გეგონება რომ ჯადოსნურ, ბროლის სასასლეში  
ხარ! იქ ნახავ ძრავალ, საუცხოვო ლამაზ ქვებს,  
ნიქარებს და მათში მცხოვრებ ჰაწაწა ცხოველებს,  
სხვა და სხვა ჯიშის კიბოებს, კუებს და ურიცხვ  
სხვა ცხოველებს, ძრავალ გვარი სხვა და სხვა ზღვის  
მცენარეები მოჩანან ზღვაში, ერთმანეთზე გადახლარ-  
თულნი არიან, თითქოს ნაირ-ნაირ ფერის ჯაჭვე-  
ბიან და საუცხოვოთ აფერადებულ წრეს უვლიან ცხო-  
ველების ბინას.

ძალაღ ხეებათ ამართულა იქ ლამაზი მარჯანი,  
რომლისგანაც ადამიანი აკეთებს სხვა და სხვა სამ-  
კაულს. შენც სომ, ჩემო ჰატარავ, გიმძვენებს მაგ  
ლამაზ ეელს წითელი მარჯანის ეელსაბაში, და არც  
წითელ საურეებსე იტეოდი უარს შენი ვარდის ფე-  
რი უურების დასამძვენებლათ. როგორც ტეეში ფრინ-  
ველები ბინადრობენ, ისეც ზღვა-ოკეანეში ძრავალი  
თევზი ბინადრობს, ათასგვარი თევზი ამძვენებს  
ზღვის ჰირს; არიან აფერადებული ოქროს, ვერცხლის  
და სხვა და სხვა ფერათ.

მძვენიერია ოკეანე ღამე, როდესაც წყალი  
ოდნავ ირხევა, ღელავს; ყოველი ღელვა ზღვისა



ზღვის ზედა ჰირსე აჩენს ბრწყინვალეობას. <sup>პატარა</sup> ტალღები ბრწყინავენ ცეცხლის ნაპერწკლებივით. ამ მოკლენას ეწოდება „ზღვის ბრწყინვალეობა“; ეს მოკლენა წარმოსდგება უჩინარი ცხოველებისაგან, რომელნიც ბრწყინავენ სან ლურჯათ, სან მწვანეთ, სან თეთრათ.

სამიძარიან ზღვა ქარიშხლის დროს!

ქარი გრიანებს, ღმუის მსეცივით, ტალღები ვეებერთელა მთებივით ადი-ჩადიან ზღვის ზედა ჰირსე. მრავალი ცხოველები ამოჭკავს ტალღებს. ამ დროს ზღვის ნაპირზე ბევრი გემები იღუპებიან ზღვაში— აბობოქრებული ტალღები ნაფოტივით ისვრიან გემებს აქეთ-იქით და ნაკუწ-ნაკუწათ ამსხვრევენ. სწორეთ ამ გვარ ოკეანეში ვცხოვრობდი მეც ერთ დროს, ჩემო პატარავ! რა ბედნიერი ვიყავი მაშინ მე! ეს-ლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ ბედნიერ წუთებს, როდესაც მე და ჩემი ცელქი დაძმანი და მეგობრები ერთათ ვხარობდით, ვსტკბებოდით მშობელი დედის სიხსლოვეთი! რას ვიფიქრებდი თუ ოდესმე გამოვეთხოვებოდი ჩემ საყვარელ სამშობლოს და მშობელს? მაგრამ რას არ უნდა მოველოდეთ ამ ქვეყნათ? მეც სრულიად მიულოდნელათ დავშორდი ეველა ჩემს საყვარლებს.

აი როგორ მოხდა ეს:

ერთ მშვენიერ თბილ მზიან დღეს უეცრათ ვიგრძენ რაღაც არა ჩვეულებრივი ცვლილება ჩემ არსებაში. რა მოხდა? მსურვალე მზის სსივეების გავლენით მე და ჩემთან ერთათ ბევრი ჩემისთანა წვეთები



გავთბით, გავგანიერდით, გავიფანტეთ მრავალ ჰატარა ჰატარა ნაწილებათ, მეტათ დავმსუბუქდით და უეცრათ გავმორდით ჩვენს მშობელ ზღვას. ამ დროს მე კარგათ ვიგრძენი, რომ დავკარგე ძარილის გემო, დავკარგე ჩემი ძველი სახეც, ესლა წელის წვეთი აღარ ვიუხვი, გამჭვირვალე უფრო ორთქლად გავხდი. მიძოვისედე ირგულივ, ჩავისედე ქვევით და დავინახე რომ ზღვა ძრიელ ძორს დამეტოვებია, მე კი მალლა, მალლა მივცურავ.

დაუბერა მძლავრმა ქარმა, მე და ჩემი თანამგზავრები უფრო მალლა აკვიტაცა, ერთი კიდევ დავისედე ქვევით, ერთი კიდევ მინდოდა დავმტკბარია ვავი ჩემი მშობელის შესედვით. მაგრამ... ის აღარ მოსჩანდა, ჩვენ დავინახეთ სმელეთი აბიბინებული ძთლათ მინდვრებით და შემოსილი მწვანე ტყეებით. ჩვენ სულ მალლა-მალლა მივფრინავდით და თან უფრო და უფრო გვცდოდა: ის ჰაწაწინა ნაწილები, რომლებათაც ჩვენ ესლა ვიუხვით დაუოფილნი, სიცვიოსაგან შეიკუმშენ, ქინძისთავის ტოლათ იქცენ, წინეთ უჩინარნი ესლა კარგათ გაიჩეოდენ უბრალო თვალითაც. ორთქლი, ის თითქმის უხილავი ორთქლი, ესლა ხილულ ნისლათ შეიქნა და ნისლათ ქცეულნი გავფრინდით ცის სივრცეში. გზაში შემოგვიერთდენ სხვა ჩვენისთანა მოგზაურები, ნისლი თან და თან სქელდებოდა, ბოლოს ვეებერთელა „ღრუბლათ“ გადაეკრა ცის კამარას.

მივფრინავთ რაც ძალი და ღონე გვაქვს, აი ძორს, რაღაც უსარმაზარი, თეთრი და ბრწუნი-



ვალე გამოჩნდა, ჭაერში უეცრათ აცვიდა. ჩვენს წინაშე  
ბის მოუვარეობით შევაცქერდით, კვინდოდა გაგვეკო  
რა იყო, ქარიც ხელს გვიწუობდა — ჰირდაჰირ იმ  
თეთრ მდევისაკენ მიგვაქროლებდა, რაც უფრო უახ-  
ლოვდებოდით იმ ბრწეინვალე საგანს, მით უფრო  
გვრძნობდით სიცივეს, ბოლოს როდესაც მას თავს  
გადაურბინეთ, ისეთმა სიცივემ აგვიტანა, რომ შიშისა-  
გან არ ვიცოდით სად დაგვალულიყავით, აგვანკალდით,  
შიშით ერთმანეთს მივეკარით და დახე საკვირველუ-  
ბას! ჩვენის წელის ბუშტები მეტის სიცივისაგან გარ-  
დაიქცენ ეინვის ნემსებათ. ნემსები შეერთდენ, შეეწე-  
ბენ ერთმანეთს და ლამაზ ვარსკვლავებათ ვიქეცით.  
ამ ვარსკვლავებს თქვენ, ჩემო ჰაწიაჲ, „თოვლს“  
ეძახით. დაუძმიდით და დავეძვით ქვევით, შეუერთ-  
დით სხვა ჩვენისთანა თოვლის ვარსკვლავებს და  
ვევლა ერთათ გაჴინდით იმ უხარ-მახარ თეთრ ბრწე-  
ინვალე საგანზე, რომელიც შორიდგან გაგვირგებ-  
და — ეს უოფილიყო თოვლით დაბურული მთების  
უძაღლესი მწვერვალი.

ცოტა არ იუოს გვესიამოვნა აქ მოსვლა, რად-  
გან დასვენება გვეჭირვებოდა, მეტათ დავიქანცეთ ამ-  
დენ სეტიალში, ჩვენ აქ დიდხანს, ძრეულ დიდ-ხანს  
დავრჩით. სძირათ ჩვენს თავზე გადაირბენდა ღრუბე-  
ლი, ისიც ჩვენსავით ბრწეინვალე ვარსკვლავებათ  
დაიბნეოდა და სცვივოდა ჩვენთან მთაზე თოვლათ.  
ასე რომ მთის მწვერვალს თითქო ვეებერთელა ქუ-  
დი ხურავსო და ეს ქუდი თან და თან იზრდებოდა,  
შესაძლო იყო, რომ მთა ველარ დაიმაგრებდა ამ ქუ-

დის სიმძიმეს და ძირს დაეშვებოდა; მართლაც მოხდა: მე და სხვა ჩემმა ამხანაგებმა თითქო ფენი ავიდგით, ნელ-ნელა ჩავცოცდით მთის კალთაზე. — ჩვენ, მოგზაურობა მთის მწვერვალთან ჰირველბათ შეუძნეველი იყო, ნელი ნაბიჯით მივდიოდით, შემდეგ ფენი ავანჯარეთ და ბოლოს საშინელი სისწრაფით შუილ-ხუილით მივექანებოდით ქვევითკენ, — რაც კი რამ გზაზე გვხვდებოდა თან მიგვექონდა, აუარებელი თოვლის გუნდები, უსარმახარი ქვები, ძირიანათ ვგლეჯდით სეებს, ვამტვრევდით ქვებს, ვარღვევდით ნიადაგს და უველაფრით დატვირთულნი მივექანებოდით ქვევითკენ. ბევრი მწუსარება და ვაი-ვაგლასი მივაჩენეთ იმ მთის კალთებზე მცხოვრებლებს, დაუნგრეთ მენობები, გაუნადგურეთ არემარე, დაუფარეთ მათი დამუშავებული მიწები სვავეებით, დავხოცეთ მრავალი საქონელი. აუარებელი თოვლი დაედო ზედ, დიდხანს არ დადნა და ასე ჩვენ იქ დავრჩით კარგა ხანს. ვსედავდი როგორ ფუსფუსებდა საბრალო ხალხი, როგორ იტანჯებოდა რომ ჩვენგან დანგრეული სახლ-კარი აეშენებინა, — მსე თავისას არ იძლიდა. ჩვენ, თოვლის ვარსკვლავები, დავდნით და ჰატარა „რუთ“ შემოუარეთ ირგვლივ თოვლის ზვავს.

რანაირათ გვისწაროდა რომ გავენთავისუფლით აღდგენი ხნის ტუეობისაგან!

გაჟიდა ცოტა ხანი, მერე ფსვიერმა ქვიძიანმა ნიადაგმა მოგვცა გზა და ჩავეშვით თავისუფლათ მიწაში, იქ დაგვხვდა ბრწეინვალე მისი სინათლის და



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

სითბოს მაგივრათ სიცვიე, სიბნელე და სრული  
ჩუმე; ჩვენ თან-და-თან დრმათ ჩაუძვერით მიწაში და  
ვიქეცით ჰატარა ნაკადულებათ. გზაში სხვა ჩვენის-  
თანა ჰატარა ნაკადულები შემოკვიერთდენ და გავსწიეთ  
ერთათ, ხან ძრეელ ჩქარა მივრბოდით, ხან კი მიწა-  
ში ძლივს მივლოლავდით. ჰირველათ გავიარეთ ქვი-  
შის ფენები, შემდეგ ჩავეშვით კირნარეუ ნიადაგში,  
ბოლოს გაუარეთ ახლოს იმ ადგილს, სადაც გო-  
გირდი და რკინა ბლომათ იყო მიწაში არეული.  
ჩვენ ვამჩნევდით რომ ეს მინერალები ჩვენ წებლში  
კარგათ იხსნებოდენ, სწორეთ ისე, როგორც წებლში  
შაქარი. წებლი ჩვენი იღებდა გოგირდისა და რკინის  
სუნსა და გემოს; როდესაც მადნეულის სუნით და  
გემოთი გაქუდენთილნი ამოვიდოდით დედა მიწის გუ-  
ლიდან მის ზედა ჰირსე, ადამიანები ჩვენ წებლს  
უბრალო წებლათ არ თვლიდა. ჩვენ შევიქენით „მა-  
დნეულის“ წებლი, ავამყოფების სამკურნალოთ გვსმა-  
რობდენ და ამისათვის „სამკურნალო“ წებლათ მოგ-  
ვინათლეს.

ადამიანს რომ უფრო ადვილათ ესარკებლას ჩვე-  
ნი წებლით, ის აღარ გვადენდა უბრალო წებლივით  
მიწასე, შემოგვარტუა ირგვლივ ქვის გალავანი, გა-  
აკეთა აუსი, სადაც ჩავდიოდით და ბლომათ ვიკრი-  
ბებოდით; დილაობით მოდიოდენ ავამყოფნი და  
ექიმების რჩევით, ზოგი ერთ ჭიქას დალევდა, ზოგი  
ძეტს, ზოგი საბანებლათ გვათბობდა. ეველასე უფრო  
დამამანსოვრდა ერთი ჰატარა ქალი, გამხდარი, გაუვი-  
თლებული სხანით, ის ძლივს დადიოდა, სულ ავათ



იყო, მაგრამ მის გამხდარ სახეს არასოდეს არ შორდებოდა სასიამოვნო ღიმილი. რა სმირათ ვნატრობდი, რომ ჩვენს წებულს იგი გაეკურნა! რომ მასაც შესძლებოდა მხიარულათ სტუნვა და ნავარდი თავის ტოლებში! ერთხელ მეც კინაღამ მოვხვდი იმ სავსე ჭიქაში, რომელსაც ავანტიურა სვამდა, მაგრამ უცნაურმა ჭიქის შენძრევამ ძირს მიწასე გადმოძისროლა, სდაც ცოტასანს ვიყავი, შემდეგ კი მშემ სელასლა ორთქლათ მაქცია და გავეშურე ისევ ჰაერის სივრცეში, დედა-მიწასე კი დავტოვე ჩემი განსწავლებული გემო და სუნი მადნეულისა. ავიწიე მადლა-მადლა, ავცილცი—დედა-მიწას და ისევ წელის ბუშტებათ გადავიქეცი. სსვა ჩემ ამხანაგებთან ერთათ შევეტოვდით და შევადგინეთ დიდი ძრიელ დიდი ღრუბელი; ქარი დაგვაქროლებდა სსვა-და-სსვა მსარეს, მერე გზაში შეუერთდით სსვა ჩვენისთანაებს და გადავიქეცით „შავ-ღრუბლათ“, ესლა ჩვენ ვიყავით სულ გაქლენთილი წელით. გამოგვიქროლა ღონიერმა ქარმა, ჩვენ შიშით ერთი-მეორეს მივეკარით, შეგვცივდა და ვიგრძენით რომ სულ რაღაც სსვანაირი ცვლილება მოხდა ჩვენში. ჩვენი წელის ბუშტები გასკდენ და წელათ იქცენ, დედა-მიწისკენ წამოვედით ჯერ დინჯათ, სელ-ნელა, შემდეგ ჩქარა და მსაზუნა წვიმათ დავეშვიტით სოფლის ველ-მინდვრებსე, რომელნიც კვალვისაგან ძრიელ შეწუსებულნი იყვენ.

დიდი სმაურობით გეცნობოდით მიწასე მსსვილ ბრწეინვალე წვეთებათ; როგორც ძვირფასი ალმასები ისე ბრწეინავდენ წვეთები მსესე, შივა და შივ წვე-



თებში ძსე თაძაშობდა, ბალახი სარბათ გავსობდა და ღაღანებდა, მოწვეული სეები მხიარულათ ამრიალებდენ თავის ფოთლებს, აღტაცებით შეკვეკებენ ჩვენ სოფელენი. ესენი დიდი ხანია ელოდენ ქუყუნა წვიმას, გამანათლებელს მინდვრებისა, და ბაღებისა, რომელიც მეტათ დაზიანებული იუვენ ხანგრძლივი გვალვისაგან. მეც დავეცი ერთ ფართე ფოთოლსე და ათას ფერათ ავბრჭყვიალდი მსესე, ცოტა ხნის შემდეგ იმ დალოცვილმა ისეკ ამიტაცა ჭაერში ორთქლათ ქცეული. კიდევ განვაგრძე ჩემი მოგზაურობა. სადამოს აცივდა, ორთქლი შეიკუმშა, დამძიმდა და ნისლათ იქცა. ჩვენ ვეღარ დავმაგრდით ჭაერში და დავეცით დედამიწასე, ბალახსე, ვვავილებსე წულის წვეთებათ, რომელსაც თქვენი ხალხი „ნამს“ ეძახის.

აი სწორეთ ამნაირათ გაუჩნდი მე, ჩემო ზატარავ, შრომანას ფოთოლსე და მასთან ერთათ შენს ოთახში. მე მომწონს აქ ეოფნა, მაგრამ ვგრძნობ ძალე გავფრინდები აქედან.

ასეთია ჩემი ბედი — უნდა ვისეციალო დაუსრულებლათ ქვეყანასე. დმერთო ჩემო! მხოლოთ ეს სურვილი აღმისრულდეს, რომ ერთსელ კიდევ ვნახო ჩემი სამშობლო ოკეანე, ერთსელ კიდევ ჩავეშვა მის სიღრმეში, დავსტკბე მშობლის მკერდსე ეოფნით, და შერმე თუნდ მუდამ ვესეციალო! მაგრამ როდის ამისრულდება სურვილი? ან ამისრულდება კი ოდესმე? — დაასრულა ამ სიტყვებით წვეთმა საუბარი.

ზატარა თინას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს შეინძრა და... გამოეღვიძა. მსე უხვათ აფრქვევ-

და თავის სხივებს ფანჯრიდან, ოთახში გადია ფუს-  
ფუსებდა, ალაკებდა. ფანჯარასე თაიგული ისევ ისე  
იდგა.

თინა წამოდგა სანქაროთ, მიიღბინა ფანჯარას-  
თან, დააცქერდა შროშანას, მაგრამ ბრწყინვალე წვე-  
თი აღარ დაუსვდა.

იგა.





### გამოცანები:

(წარმოდგენილი ალ. კაპანაძისაგან).

ერთი ხე ვნახე მართალი  
ზედ ესა ხუთი მარცვალი.

ოთხხო ოთხხო კოჭო,  
ებრენიკო მუცელ ტახტო  
ზევიდანა სათიბარო,  
ქვეშედ წყარო სადინარო.

ახლი აზანზალენი,  
კაცი ჩიბუხ ტარენი,  
დღე კარში არ გამოვლენ  
ღამე შინ არ ჩამოვლენ.

ქალაში მტრელი დუღუნებს  
ერთი ჰკლავს ერთი უყურებს.

ა ნ დ ა ზ ა.

ჯოხი ბევრი მოხვდება  
ძალდი თუა მკბენარი,  
კისერს საღმე შოიტებს,  
ბავშვი მოუსვენარი.

### ისტორიული აპროსტიხი.

ემტერებოდა სპარსეთსა ქართველის მომხრე ერთგული.  
რეგვენსაც გაამხნევებდა ბრძოლაში სიტყვა მის თქმული.  
ეფინებოდა სახელი, ქვეყნისთვის ტანჯულ, ჯვარცმული,  
კეთილსა ყველა უყვარდა, ქვრივ-ობოლ-ოხერ-ჩაგრული.  
ლომგული მეტათ შვენოდა, ბრძოლაში აბჯარ-ჩაცმული.  
ეხლა მის გვარი გვენატრის, საუბედუროთ კარგული'..

შ ა რ ა დ ა:

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ)

იმერთ კილოა პირველი,  
სიტყვას რომ გააგრძელებენ;  
მგორე მეავე საქმელი,  
იმით ვერ იმარხულებენ.

თავს გადახურვენ მესამეს,  
სახლს როცა დაასრულებენ,  
სამივე ხისა ნივთია  
შიგ პურსა ინახულებენ.

**მერცხლების მოგზაურობა.**

შემოდგომაზე ჩვენი მერცხლები მიფრინავენ იმ ქვეყნებისკენ, სადაც ზამთარი არ არის. სათუთ მერცხალს სიცივისა ეშინიან და თოვლით დაფარულ მიწაზედაც ხომ საქმელსაც ველარაფერს იშოვნის.

გაზაფხულზედ კი კვლავ გვესტუმრებინ ძვირფასი მოქიქიკე სტუმარნი. გრძელია, ეს მერცხალთა მგზავრობა, ათასობით იხოცებიან გზაში ჩვენი შავფრთოსანნი, მაგრამ ვინც მოდიან, მოუხარიანთ და ძველ ბუდეებს არ იფიწყებენ.

ერთხელ შემოდგომაზედ, ერთმა ხელოსანმა გერმანელმა დაიქირა მერცხალი და ფრთას ქვეშ დაწერილი ქალაქის ნაქერი მიაკრა: „ოჰ მერცხალო, მშვენიერო, ნეტა სად გაატარებ ზამთარს სუსხიანს?“.

გაზაფხულზედ მერცხალი ძველ ბუდეს დაუბრუნდა ხელოსნის სახლის სახურავს ქვეშ და ფრთას ქვეშ დაწერილი ქალაქი მოიტანა: „ფლორენციაში. კარტელიატის სახლში. სალამი შენ, ჩემო ძველო სახლთუხუცესო!“



**მე-VII—VIII და IX.**

**გამოცანებისა:** შეშა, მოვარე, წვიმა, თვალი, კამათელი, სასწორი და ფული.

**ანაგრამა:** თოხი—ოთხი, სამარხი, სახმარი, სამხარი.

**ზმა:** დომხალი, ჩანახი, შიო თმა, მათრახი, ცაგერი, არმაზი, ნამი, მახე, ღამე, რიკი.

**აკროსტიხი:** არჩილ ჯორჯაძე.

**რებუსი:** ბრმა ქათამს ასე ჰგონია ყველგან ხორბალი ჰყრიან.




## შემოდგომა



ივა ყველგან...კობტა მხარეს  
 აღარ ამკობს კობტა დილა.  
 ქარი დაჰქრის...და წალკოტი  
 მითელიდა, ნოათელიდა!..


და ბუღბუღი აღარ ჰგალობს,  
 დაჰკარგვია ჰანგთა ნდომა...  
 ვაჰ, რა უცბათ შემოჰკრილა  
 შემოდგომა...შემოდგომა!..

გ. ლეონიძე.



# ხ ი მ ე რ ა .

(ნატ-კატონის ზღაპარი)



როგორღაც გრძელდებოდა და უფერულათ მიიზღაზნებოდა ის დრო, რომელსაც ბელლეროფონი ატარებდა პეგასის მოლოდინში პირენის წყლის პირას. ამ ჭაბუკს ძალიან ეშინოდა, რომ მეფეს არ ეფიქრნა, ვითომც მან თავი მოა-

შორა ხიმერას. ამას გარდა, როდესაც მოაგონდებოდა, რამდენ სიბო-

როტეს ჩაიდენდა ხიმერა იმ დროის განმავლობაში, რაც იგი უსაქმოთ იჯდა წყლის პირზე და მიშტერებოდა ცელქათ მოთამაშე წყაროს ზვირთებს, იგი გრძნობდა სულიერ ტანჯვას.

ეტყობოდა რომ პეგასი ამ უკანასკნელ დროს ძალიან იშვიათათ ჩნდებოდა აქეთ მხარეში, ამიტომ ბელლეროფონს ეშინოდა, რომ მის მოლოდინში იგი დაბერდებოდა: მკლავში ძალა გამოეღეოდა და გულადობას დაჰკარგავდა. კიდევ კარგი, რომ ბელლეროფონთან იყო პატარა ბიჭი. იგი არას დროს არ შორდებოდა მას, ყოველ დღე ახალ-ახალ იმედებს აძლევდა.

— ბელლეროფონ ჩემო, — მხიარულათ წამოიძახებდა ხოლმე პატარა, — დღეს ჩვენ, მგონი, ვნახავთ პეგასს.

ამ ბავშვის ასეთი რწმენა რომ არ ჰქონოდა ბელლეროფონს, რასაკვირველია, იმედი გაღუწყდებოდა პეგასის პოვნაზე, ლიკიაში დაბრუნდებოდა და შეებრძოლებოდა თითონ ხიმერას, უცნაურ რაშის დაუხმარებლათ.



ერთ დილას ბავშვმა უფრო დაბეჯითებით, ვიდრე კვლავ, უთხრა ბელლეროფონს:

— ჩემო ბელლეროფონ, არ ვიცი რათა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს უეჭველათ ვნახავთ პეგასს.

მთელ ამ დღეს ბავშვი არ მოსცილებია ბელლეროფონს. ერთათ შეჰამეს ცოტა პური და ცივი წყაროს წყალი ზედ დააყოლეს. შუადღისას ეს ორი მეგობარი ერთათ დასხდნენ, ჰაბუკმა აღერსიანათ მოხვია ხელი პატარას და ისიც მიეყრდნო ჰაბუკის მკერდს. ბელლეროფონი დაღონებული შესცქეროდა უზარმაზარ ხეებს, რომელთა ტოტებ შორისაც ჩაღართულიყვენ ვახის ყლორტები, და დარაჯებივით შემორტყმოდნენ წყაროს; ბელლეროფონს სევდით სავსე ფიქრები ლტრიალებდა თავში. ბავშვი კი რაღაც იმედით ჩასცქეროდა მოდუღუნე წყაროს, იგიც დაღონებული იყო, არც გასამტყუნარია, ეტყობოდა დღევანდელი იმედიც ტყუილათ ჩაუვლიდათ, ისე როგორც ბევრჯერ სხვა დროს. რამდენიმე დიდრონი ცრემლები ნელ-ნელა წამოსცივდა ბავშვს თვალებიდან და შეუერთდა პირენას ცრემლებს.

უცებ, როდესაც ბელლეროფონი სრულიად არ მოელოდა, იგრძნო მან ნელი შეხება პაწაწა ბიჭის ხელისა და გაიგო ჩუმი, აღელვებული ჩურჩული:

— უყურე, ძვირფასო ბელლეროფონ! ხედავ ამ ანარეკლს წყალში?

დახედა ჰაბუკმა ნიავისაგან მოციმციმე წყლის ზედა პირს, და მართლა დაინახა შიგ მაღლა მფრინავი ფრინველი, სპეტაკ თეთრი ფრთებით, რომლებზედაც მხიარულათ ცელქობდნენ მზის ოქროვანი სხივები.

— რა მშვენიერი ფრინველია! წამოიძახა ბელლეროფონმა, — საოცარია, რომ ესეთი უშველებელი ჩანს, თუმცა ღრუბლებზე ზევით მიფრინავს.

— მე სულ მაკანკალებს, — წაიჩურჩულა ბავშვმა, მე თითონაც არ ვიცი რათ მეშინიან, რომ ცას შევხედო. მართალია ძალიან ლამაზია, მაგრამ მე მარტო წყალში დანახვით შემძლიან დავსტკბე. ძვირფასო ბელლეროფონ! ნუ თუ შენ ვერ ხედავ, რომ ეს ფრინველი კი არა, რაში — პეგასია?



ბელლეროფონს საშინლათ აუძგერდა გული, იგი ხარბად შესტკეროდა ცას, მაგრამ ვერ შეეძლო ფრთოსან არსების კარგად დანახვა, რომელიც სწორეთ ამ დროს დაიძალა ღრუბლების გაცრიაგებულ უფსკრულში. ერთი წამის შემდეგ იგი ხელახლათ გამოჩნდა მეორე მხარეს, უფრო დედამიწასთან ახლოს. მაგრამ მაინც დაშორებული მისგან დიდ მანძილზე. ბელლეროფონმა საჩქაროთ მოავლო ხელი ყრმას და მასთან ერთათ შეეფარა ბუჩქნარს, წყლის ნაპირზე. ყრმას ძალიან ეშინოდა, რომ ჰგვასი თუ შენიშნავდა მას, გაფრინდებოდა და მიიპალებოდა კლდის მწვერვალზე.

ჰგვასი შავარდენივით ეშვებოდა დედამიწაზე, და რაც უფრო უახლოვდებოდა მას, მით უფრო ლამაზი იყო მისი ვერცხლის ფრთების თანასწორი რხევა. და აი, ის სუბუქათ შეეხო თავის ფრთებით დედამიწას. ბალახი ოდნავ დაიხარა მის ჩლიქებ ქვეშ. კვალი ოდნავ დააჩნდა; რაში სრულიად დაეშვა ძირს, ლამაზათ მოიღერა თავისი ამაყი თავი, და ისე დაეწაფა წყალს. იგი ნელ ნელა სვამდა წყალს, რომ უფრო მეტი სიამოვნება განეცადა, არ ჩქარობდა რომ მეორეთ დასწაფებოდა წყალს. როცა წყურვილი მოიკლა, მერე უგემურათ დასწვდა სურნელოვან ბალახს, რადგან გელიკანზე ბევრათ გემრიელი ბალახი იყო ცისკიდემდე აყუდებულ მთაზე.

ქამა-სმის შემდეგ, ფრთოსანმა რაშმა დაიწყო ხტომა, კუნტრუშობა, ეტყობოდა ეს მისთვის სასიამოვნო დროს გატარებას შეადგენდა. გეგონებოდათ ქვეყანაზე ამისთანა ცელქი არსება არ მოიპოვებოდა. ჰგვასი მხიარულათ ცელქობდა, თავისუფლათ აფრიალებდა თავის ვერცხლის ფრთებს, და ხტუნაობდა, ასე რომ მაყურებელს ეგონებოდა ერთ და იმავე დროს ფრინავს კიდევ და ხტუნავს კიდევცო. ბელლეროფონს მოეკიდა ბავშვისთვის ხელი და ისე ფრთხილათ გამოიციკირებოდა თავის ბუჩქნარიდან, თან ფიქრობდა, ხომ მას არას დროს არ უნახავს ამისთანა საუცხოო სურათი. არც ერთ ცხენს არ ჰქონია ასეთი ცოცხალი თვალები, როგორც ჰგვასს. მას თითქმის ცოდვათ მიაჩნდა ამისთანა მშვენიერ ფრთოსანის დაქერა. ერთი ორჯერ ჰგვასმა ფაჩი-ფუჩზე ყურები აცქვიტა, შედგა, თავი გააქან-გამოაქანა, ეჭვიანათ მიიხედ-მოიხედა



გარშემო, თითქოს რაღაც საფრთხისა ეშინიანო, შვენიერად  
ჰაერო, მაგრამ რომ ვერაფერი შეამჩნია მოჰყვა კუნტრუმს.

მერმე, სიზანტით და განცხრომით მოკეცა თავის ფრთე-  
ბი და წაწვა მშვენიერ ბალახზე. დიდხანს, წყნარათ ზურგზე  
ვერ გაჩერდა, გადაბრუნდა და მალლა ასწია თავისი კოხტა,  
წვრილი ფეხები. საუცხოვო სანახავი იყო ეს გიჟმაჟი ჰაერის  
შვილი, რომელსაც არას დროს არა ჰყოლია ბადალი. ბელლერო-  
ფონი და ბავში სულგანბულნი და აღტაცებით, თვალს  
აღევნებდენ და თან ეშინოდათ, რომ რაიმე შრიალი არ  
გაეგო ჰეგას და შავარდენივით არ აფრენილიყო ცის კამა-  
რაში. ბოლოს, როცა ჰეგასს მოსწყინდა ბალახზე გორაობა,  
გაღმობრუნდა, და როგორც ცხენმა, წინ ფეხები გასქიმა წა-  
მოსადგომათ; ბელლეროფონი მოელოდა ამას, ამიტომ იხვლთა  
დრო, გამოხტა ბუჩქიდან და თვალის დახამხამებაზე მის  
ზურგს მოაჯდა.

ბავში თავის თვალებს არ უჯერებდა: ბელლეროფონ-  
ფრთოსან რაშზე იჯდა!

როგორი სისწრაფით ახტა ჰეგასი, როცა თავის ზურგზე  
სიმძიმე იგრძნო. რანაირათ შეხტა, შეტრიალდა! ბელლერო-  
ფონმა სულის მობრუნება ვერ მოასწრო, რომ ხუთას ფუტის  
სიმაღლეზე გაჩნდა. საშინელი სიჩქარით მიქროლავდა იგი მა-  
ლლა-მალლა, მთრთოლვარე, შიშისაგან მკვშინავდა სიბრაზისაგან  
გაცოფებულ რაშზე, სანამ არ მიიმალა კივ-ბურუსიან ღრუბლე-  
ბში, რის მზერითაც ამ რამდენიმე წუთის წინათ სტკებოდა.  
ამ საშინელ სიმაღლიდან რაში უცვბ ელვის სისწრაფით დაე-  
შვა ძირს, თითქოს სწადდა თავის მხედართან ერთათ კლდე-  
ებზე გადაჩეხილიყო. შემდეგ დაიწყო საოცრათ ტრიალი და  
ხტომა.

ბოლოს დედამიწიდან ორი მილის სიმაღლეზე მალლა  
ასრიალდა და მოულოდნელათ გადაკოტრიალდა, ისე რომ ბე-  
ლლეროფონი ყირამალა დაეკიდა და ახლა ქვევიდან შესცქერო-  
და ზეცას. ამის შემდეგ ჰეგასმა მიიბრუნა თავი და თვის ცეცხ-  
ლივით ანთებული თვალები მიანათა იმას; ცუილობდა ეკბინა  
არამკითხე მხედრისათვის. იგი ისეთ სიმძლავრით იქნევდა თავის  
ფრთებს, რომ ერთი ვერცხლის ფრთა გამოეცალა. და დაეცა  
დედამიწაზე სწორეთ იმ ადგილას, სადაც ბავში იყო, მან

სწრაფლათ აიღო და მთელ თავის სიცოცხლეში ინახავდა პეგასის და ბელლეროფონის სახსოვრათ.

ბელლეროფონი კი ცდილობდა ედროვა, რომ მისთვის ამოედო პირში თავისი ძვირფასი ლაგამი. როგორც კი ბელლეროფონმა იხელთა დრო, თვალის დახამხამებაზე ამოსდო ლაგამი პეგასს, და იგი იმ წამსვე ისე დამშვიდდა, ასე ეგონებოდა ადამიანს მთელი სიცოცხლე სულ ბელლეროფონის ხელში გაწვრთვნილიყო, თითქოს პეგასმა იგრძნო თავის მონობა, მის ცეცხლის მურქვევ თვალეში ეხლა ცრემლები მოსჩანდა და ეს ცრემლიანი თვალეები მიაპყრო მან თავის პირველ ბატონს, მაგრამ როცა ბელლეროფონი გადაეხვია პეგასს და რამდენიმე ალერსიანი სიტყვები უთხრა, პეგასის თვალეების გამომეტყველებაც გამოიცვალა—მისთვის ახლა სასიამოვნოც იყო პატრონი და ამხანაგი ჰყოლოდა—დიდიხნის მარტოობის შემდეგ.

პეგასი და ბელლეროფონი კარგა დიდ მანძილს გასცილებოდნენ. რაშს ლაგამი წაცმული ჰქონდა, როდესაც შორიდან გამოჩნდა მაღალი გელიკონის მთა. ბელლეროფონს წინათ რამდენჯერმე ენახა ეს მთა და იცოდა, რომ ეს იყო ფრთოსან ცხენის ბუნავი და სწორეთ იქითკენ გაემართა. რაში დედამიწაზე რომ დაეშვა მოთმინებით მოუცადა მინამ ბელლეროფონი ჩამოვიდოდა ძირს. ჩამოხტომის უშალ ქაბუკა მაგრა მოჰკიდა აღვირს, მაგრამ როდესაც შეხედა პეგასის ლამაზ თვალებს და მოაგონდა მისი თავისუფალი ცხოვრება, შეებრა-ლა საწყალი და აღარ მოინდომა ძალით მისი დამორჩილება.

ამ გრძნობით აღელვებულმა მოხსნა აღვირი, გამოუღო პირიდან ლაგამი და უთხრა:

— გამშორდი პეგასს ან გამშორდი, ან შემიყვარე!

ერთი თვალის დახამხამებაზე, მშვენიერი რაში თვალისგან გაჰქრა. მზე დიდიხნის ჩასული იყო, საჯამოს ნისლი ლეჩაქივით გადაჰკროდა მთას და მის მიდამოებს, რაში დაეწია დღის სინათლეს და ხედავდა მზის უკანასკნელ სიბრწყინვალეს. იგი უფრო მაღლა და მაღლა მიჰფრინავდა და როგორც პატარა ბრწყინვალე წერტილი ჩაინთქა კიდევ ლაჟვარდ ცის ზვირთებში. ბელლეროფონს შეეპარა შიში, რომ იგი არას დროს არ ნახამს მას, და თითქმის ნანობდა



კიდევ, რომ ისე სულელურათ ნოიქა. ამ დროს ზეგონიანი  
 ლე წერტილი ისევ გამოჩნდა და უფრო და უფრო ახლოვ-  
 დებოდა. ბოლოს, პეგასიც დაბრუნდა!.. ამის შემდეგ უადგილო  
 იყო შიში, რომ რაში როდისმე გაექცეოდა. პეგასი და ბე-  
 ლლეროფონი სამუდამოთ დამეგობრდნ.

იმ ღამეს მათ მეგობრობის ნიშნათ ერთათ გადახვეულნი  
 ეძინათ—სისხამ დილას გაიღვიძეს და ერთმანეთს თავისებუ-  
 რათ უთხრეს დილაშიდობა.

ესე და ამნაირათ რამდენიმე დღე ერთათ გაატარეს ბე-  
 ლლეროფონმა და საკვირველმა რაშმა. დღითი-დღე მათი მე-  
 გობრობა უფრო და უფრო მტკიცდებოდა და არა ერთხელ  
 სეირნობის დროს ისინი ისე მალლა აღიოდნენ, რომ დედამი-  
 წა ბუზის ოდენათ-ლა მოსჩანდა. მათ ბევრი სხვა და სხვა ქვეყ-  
 ნები შემოიარეს და ძალიან აკვირვებდნ მცხოვრებლებს,  
 რომლებსაც ჭაბუკი და ფრთოსანი რაში ციდან ჩამოსულნი  
 ეგონათ. მარდი პეგასისათვის რამდენიმე ათასი მილის გავლა  
 არაფერი იყო. ჭაბუკი არ იფიწყებდა პირობას, რომე-  
 ლიც მისცა მეფეს ხიმერის მოკვლაზე. ამიტომ იგი შეეჩვია  
 ჰაერში თავისუფლათ ფრენას თავის პეგასზე და ეს უკანა-  
 სკნელიც ემორჩილებოდა თავის პატრონს; იგი არამც თუ  
 პატრონის ოდნავ მოძრაობას, ხმასაც კი ყურს ათხოვებდა.

ერთხელ ბელლეროფონი დილა აღრიან ფიცხლავ წა-  
 მოხტა და ალერსიანი შეხებით გააღვიძა თავისი მეგო-  
 ბარი. პეგასი წამოხტა ფეხზე და სწრაფათ ნახევარ მილზე  
 ავიდა მალლა, ერთხელ შემოეველო გელიკანის მწვერვალს და  
 დაეშვა ჭაბუკთან და თითქო ეუბნებოდა: გავიღვიძე, მზათ  
 ვარ გზას გავუდგეთ და თან ისეთი ტკბილი ხმით ჭიხვინებდა,  
 რომ აღამიანს ესიაშოვნებოდა.

— კარგი, ჩემო პეგასო, კარგი ჩემო ჰაეროვანო,—წა-  
 მოიძახა ბელლეროფონმა და მიუალერსა,—ეხლა კი, ჩემო  
 მეგობარო, დროა შეუდგეთ საქმეს. დღეს ჩვენ საშინელ ხი-  
 მერას უნდა შევებრძოლოთ.

როცა ოდნავ დანაყრდა ჩვენი რაში, თითონ გაუწოდა  
 ბელლეროფონს თავი, რომ მას გაეკეთებინა მისთვის აღვირი.  
 მერე, მინამ ბელლეროფონი მოემზადებოდა და ფარ-ხმალს  
 მოირტყავდა საბრძოლველათ, რაში კუნტრუშობდა, მხიარუ-

ლათ ქიხვინებდა და მოუთმენლათ ელოდა გზის გაღვინას. როცა ყველაფერი მზათ იყო, ქაბუკი მოახტა რაშს და ერთ ხუთ მილზე ასცილდა დედამიწას, რათა მალლიდან უფრო უკეთესათ დაენახა გზა. ბოლოს ბელლეროფონმა აღმოსავლეთისაკენ მიაბრუნა რაში და გაემართენ ლიკიისაკენ. გზაში ისინი დაეწივნენ არწივს და ისე ახლო გაუფრინდენ, რომ ბელლეროფონს შეეძლო ხელი მოეველო ფრინველთა შეფესათვის. ისინი ისეთი სისწრაფით მიჰქროდენ, რომ დილა ადრიან უკვე თვალ-წინ გადაეშალათ ლიკია თავის ჩაღრმავებულ ხეობებით და გამოქვაბულებებით. ბელლეროფონის აზრით ამ ხეობაში ბუნაგობდა ის საძაგელი ხიმერა.

**შუშანიკა ასათიანისა.**

(დასასრული შემდეგ)



## ღ ა რ ა ჯ ი.



ოვს. ღამეა. ცივა, ჰყინავს.  
დაუფარავს ღრუბელს მთვარე;  
ისმის ღამის ჩუმი ხმები,  
მოუბურავს ნისლსა არე.

ყინულიან თოვლის ზვინებს  
ცივი ქარი თავს დასტირის,  
ხან ხარხარებს, ხან ქვითინებს,  
ხანა კენესის, ხანა სტირის.

ჩარდახ ქვეშა დარაჯი სდგას.  
ეურჩება მოსულ ძილსა,  
ტყავს იფარებს. სცივა საწყალს,  
აცემინებს კბილი-კბილსა.

ფეხთ ატოკებს დიდ ჩექმებში,  
ხელებს იფშენეტს გათოშილი;  
წვერ-ულვაშზეთ გაცივებულს  
მოსდებია თეთრი რთვილი.

აგონდება თოფით მდგომსა,  
თავის ქვეყნის მთა და ბარი,  
აგონდება, ცოლი, შვილი,  
დედა, მამა, სახლი, კარი.

ფიქრობს—იქნებ უპატრონოთ  
მომიშიგდა ჩემს პატარებს,  
იქნებ მათაც უშეშობით  
სცივათ... ქარი უმტვრევთ კარებს...

ფიქრობს—იქნებ ეხლა ფიქრით  
ჩემთანაა ჩემი, გული;  
იქნებ ძილში მწარეთ სტანჯავს  
დედას შვილის სიყვარული.

ფიქრობს—იქნებ არც კი უხნამს  
მამას ჯავრით მოქანცულსა;  
იქნებ ვინმე ავათა მყავს  
და ჩემს ფიქრში ებრძვის სულსა.

ფიქრობს—იქნებ უჭმელია  
მთელი ჩემი საქონელი;  
იქნებ ვაზი გადამიხმა,  
რომ მოაკლდა ვენახს ხელი...

ფიქრობს, ვინ ვარ? აქ კი ვდგევარ,  
სახლს ვაკლივარ, თავს ვიღონებ;  
მუნჯათ სიყრმეს უცხოს ვაღევ,  
ტყვეთა ვარ და უხმოთ ვმონებ...

ფიქრობს—და თან ტყავს იფარებს,  
ეურჩება მოსულ ძილსა;  
იფშვნეტს ხელებს, სცივა საწყალს,  
აცემინებს კბილი-კბილსა!..

კიკნა-ფშაველა..



# საქართველო თავაზობანი სვანეთში

(შეკრებილი თავისუფბლი სვანისგან)



**ახუდშ ლიხკენე.** რამდენიმე ყმაწვილი ორს თანასწორ დასათ განიყოფება, მაგალითათ, ოთხი ყმაწვილი, ექვსი, რვა, ათი, თორმეტი და სხვა... დანიშნავენ ადგილს, საიდგანაც ერთმა დასმა უნდა დაიწყოს გახტომა (ლიხკენე). გახტომის დაწყებამდე ორი შემდეგი ცერემონია უნდა ასრულდეს: „ლილკჳე“ (არჩევანი) და „ლიცხრე“ (ჩხირის აგდება, ე. ი. კენჭის ყრა). ორი ყმაწვილი დადგება განზე და მოახდენენ არჩევანს ამ ნაირათ: თამაშის მსურველი ყმაწვილები ორ-ორი ღვანან ხოლმე ერთად. ერთი ამათვანი დაირქმევს „მზეს“ (მიჲ), მეორე „მთვარეს“ (დომდულ). მივლენ ზემოთ ნახსენებს ორს ამომრჩეველს ყმაწვილთან და ეტყვიან: „მზე გინდა, თუ მთვარეო?“ ერთი ამომრჩეველთაგანი დაასახელებს ან მზეს, ან მთვარეს და ამ ნაირათ ერთი ერთ ამომრჩეველისაკენ წავა და მეორე — მეორეს დარჩება. ამ რიგათ განაგრძობენ ბოლომდინ, სანამ ყველა ყმაწვილები არ იქმნებიან ამორჩეულნი.

ახლა რომელმა დასმა უნდა დაიწყოს პირველათ გახტომა, ამაზე დაიწყებენ ლაპარაკს და გაათავებენ იმითი, რომ ჩხირს, ან რგვალს და პრტყელს პატარა ქვას აისვრიან ზევით. ჩხირის ან ქვის მხარეები თვითეულს დასს დანიშნული აქვს. რომელი დასის დანიშნული გვერდი ანასროლის ჩხირისა ან ქვისა ბინაზე ზემოდამ მოექცევა, დაწყებაც იმ დასის ხვედრია. ერთი ამ პარტიის ყმაწვილი დანიშნულის ადგილიდამ (გარდ) დაიწყებს და შეუსვენებლათ გააკეთებს ორს ნახტომს. სადაც ეს გაჩერდება, იქიდან განაგრძობს ამავე რიგად ხტომას მისი ამხანაგი და ამ ნაირათ, სანამ ეს დასი არ გაათავებს. იმ ადგილს, სადაც მიადწია დამწყებმა დასმა დანიშნენ.

ამის შემდეგ მეორე დასი დაიწყებს გახტომას. თუ პირველის დასის ნახტომს — (სიგრძით) გასცილდა, მაშინ ეს დასი არის ნაჯობნი, თუ ვერ მიადწია, — მაშინ წაგებულთაა. წაგებულს მხარეს მიადგება შემდეგი დასჯა: ნაჯობნი დასის

ერთი ყმაწვილთაგანი, თითქმის ყოველთვის სხვებზე უფრო ღონიერი — პირ-დაღმა დაწვება მიწაზე; აქეთ-იქით იღლივებში ამოიდებს თითო ფეხს ორის წაგებულის ბავშვისასა. ამ დროს ერთი ნაჯობნი ყმაწვილთაგანი მივა ფეხებით დაკავებულ ყმაწვილებთან, თავის ხელს მათს ხელზე დაარყუამს ისე, რომ არ დაიჭირონ, და შემდეგ გასწევს, რაც შეუძლია პირ-უკულმა, ე. ი. ზურგისკენ გაიქცევა.

ამ დროს ფეხებ-დაქერილი ორი ყმაწვილი ცდილობს მალე გაუსხლტნენ დამჭერს, რომ დროზე დაეწიონ უკუგაქცეულს ყმაწვილს. მწოლარე ყმაწვილი კი თავის-თავათ ყოველს ღონეს ხმარობს ეს ორი ყმაწვილი ხანგრძლივად შეაკავოს, რომ ამითი დრო მისცეს უკუ-მქცევს თავის დასის ყმაწვილს. შემდეგ რამდენიმე ხნის მითრევ-მოთრევის და მიხობ-მოხობებისა მიწაზე, ან თოვლზე მწოლარე ყმაწვილი იღლება და მას იღლიებიდამ უსხლტებიან ორი ყმაწვილი, რომელნიც გარბიან უკუ-მქცევსკენ დასაქერათ. იმ ადგილიდამ, სადაც ეს ორი ყმაწვილი დაეწევიან უკუ-მქცევს, წაგებულმა დასმა უნდა აიკიდოს ზურგზე ნაჯობნი პარტია და წამოიღოს იმ ადგილამდე, საიდგანაც ხტომა დაიწყოს.

## დაუფასებელი ძღვენი

(ხალხური თქმულება)



ყო ერთი მეტისმეტი მდიდარი ვაჭარი. თავის სიმდიდრით მას ისე ჰქონდა სახელი განთქმული, რომ მთელ იმ მხარეში მხოლოდ მის შესახებ ლაპარაკობდნენ; ყველა მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობოდა მას, როგორც ადამიანს მდიდარს და ძლიერს. მაგრამ ჩვენი ვაჭრის წარსული ცხოვრება არ იყო მაინც და მაინც ასეთი მიმზიდველი და მიმბაძავი. ის ბავშვობაშივე დაობლდა, სიღარიბეში და გაჭირვებაში აღიზარდა, ბევრი ტანჯვა და დამცირება გამოიარა. მან პატარაობიდანვე გადიდრება დაისახა მიზნათ, რაც უნდა დაბრკოლება არ გა-



საქართველოს  
საქართველოს

დაღობებოდა წინ. მთელ თავის სიცოცხლეში ჩვენი ვაჭარი სულ იმაზე ზრუნავდა და იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება მეტი ფული შეეძინა და თავის მიზნისათვის მიეღწია. თავის მიზნის მიღწევამდი მან გადასწყვიტა არავის დახმარებოდა, არავისათვის შემწეობა არ აღმოეჩინა, რომ ამით თავის ვაჭრობისათვის ზიანი არ მიეყენებია.

— მე რომ ვინმეს მანეთი ვაჩუქო, — ამბობდა ხალმე ვაჭარი, — ამით მას გაჭირვებისაგან ვერ ვიხსნი და ჩემს თავს კი ზიანს მივაყენებო, რადგანაც მე შემიძლია მანეთს ორი მანეთი მოვაგებო... მაგრამ როდესაც გავმდიდრდები, მაშინ ღმერთსაც ჩემ სიმდიდრის ნაწილს შევწირავ და ხალხსაც უხვათ დავეხმარებო.

ბევრი დრო გავიდა სანამ ვაჭარი გამდიდრდებოდა და ამ ხნის განმავლობაში მას სრულიად დაეკარგა ყოველივე სურვილი სხვისდამი დახმარებისა, რადგანაც ფულის სხვისგან მიღებას უფრო შეეჩვია, ვიდრე გაცეპას.

მაგრამ ღმერთი ვაჭარს მაინც ახსოვდა და ღვთის მოტყუების კი ძლიერ ეშინოდა, ამიტომ სიბერის დროს გადასწყვიტა აეშენებია თავის ხარჯით ღვთისათვის ისეთი ტაძარი, რომ მთელი ქვეყანა გაეკვირვებია.

— აი ავაშენებ ტაძარს, — ფიქრობდა ის, და მთელი საუკუნოების განმავლობაში, ყოველ წირვის დროს ამ ტაძარში მოიხსენიებენ ჩემს სახელს და ეს იხსნის ჩემს სულს ყოველივე შეცოდებისაგანო.

მართლაც ასე მოიქცა. არ დაზოგა მან თავისი ფული: მოიხმო ამშენებლები, იყიდა ტყე და აგური და დაიწყო საყდრის შენება. როდესაც ტაძრის გუმბათის ამოყვანა დაიწყეს და ტაძრის შენება უკვე ბოლომდე იყო მიყვანილი, — აი ამ დროს მოვიდა ვაჭართან ვიღაცა ღარიბი და საწყალი დედაბერი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მძიმე შრომაში და შიმშილ-წყურვილში გაეტარებია; მოკრძალებით თავი დაუბრკა ვაჭარს და ასე მოახსენა;

— უმოჩილესათ გთხოვთ, ჩემო ბატონო, აღმომიჩინოთ მე ღვთიური დახმარება და მიიღოთ ჩემგანაც შეწირულება ამ ტაძრისათვის. თქვენ გიბოძათ ღმერთმა ბედნიერება, რომ მისთვის სამსახური გაგეწიათ თქვენი სიმდიდრით, მეც მაქვს

სურვილი ვემსახურო მას რითაც შემეძლება, მიიღეთ ჩემი  
შეწირულება ამ ტაძრის ასაშენებლათ. რაც მებაღია იმას  
გაძლევთ, ჩემო ბატონო! — და ამ სიტყვებით გაუწოდა მან  
ვაჟარს კაპეიკიანი, — ისიც გახვრეტილი და ისე გამწვანებული,  
რომ ვერც კი იფიქრებდა ადამიანი თუ ის მართლა კაპეიკი-  
ნი იყო.

გაიღიმა ვაჟარმა, — ხუმრობის ხასიათზე მოსულა დედა-  
ბერიო, — იფიქრა მან.

— ეჰ, შე ბებერო ყორანო! რაში უნდა მოვიხმარო  
მე შენი კაპეიკიანი, — უთხრა ვაჟარმა, — თვითონ გასაჯე...  
აქ მე ათასობით და ათი ათასობით ჩავყარე ფული და შენ  
კი შენი კაპეიკით მოსულხარა?!

მაგრამ დედაბერი თავისას არ იშლიდა, თაყვანს სცემდა  
ვაჟარს და ეხვეწებოდა, ემუდარებოდა რომ მას მიეღო მისი  
შეწირულება.

— შემოვლენ ამ ტაძარში კეთილი ადამიანები, — ეუბნე-  
ბოდა ის ვაჟარს, — ილოცავენ და ჩემს სულსაც ამით შევბა  
მოეცემა, რადგან ამ ტაძრის აშენებაში მეც მცირედი წილი  
მექნებაო.

აქ კი შეურაცხყოფილათ იგრძნო თავი ვაჟარმა, დედაბე-  
რის სიტყვები მას გულზე მოხვდა.

— აი შენი სულელი თავის მადლმა, — გაჯავრებით დაუ-  
ყვირა მან დედაბერს, — მე ჩემი ნახევარი სიმდიდრე ჩავყარე აქ,  
და შენ კი შენი გახვრეტილი კაპეიკით გინდა ჩემი სახელი  
და დიდება მიითვისო? დაიკარგე აქედან, უშენოთაც დავამ-  
თავრებ ტაძარს!

ღა ვაჟარს კიდევ ეცინებოდა და ბრაზიც მოსდიოდა,  
ნუ თუ მას კაპეიკი ესაჭიროებოდა ტაძრის დასამთავრებლათ!  
დედაბერი კი მაინც თავისას არ იშლიდა.

— მიიღე, ბატონო, მიიღე, — ეღრიჯებოდა ის.

— თუ მაინცა და მაინც გინდა შენი კაპეიკი ღმერთს  
შესწირო, — უთხრა ბოლოს დამშვიდებით ვაჟარმა, — აი საყ-  
დარს რომ ავაშენებ, იყიდე სანთელი და ხატს დაუნთე, ეს  
უფრო მადლი იქნება.

— არა, ბატონო, ჩემი სურვილია საყდრის აშენებას შე-  
ეწიროს ეს ჩემი კაპეიკი, — მიუგო დედაბერმა.



ახლა კი ვაჭარი მართლაც განრისხდა, გამოსტაცა მას კაპეიკიანი და შენობის ღორღში გარდაისროლა.

— დამშვიდდი ეხლა, დედაბერო, შენი კაპეიკი საყდრის აშენებას შეეწირა! — გაბრაზებით დაუმატა მან.

დედაბერმა პირჯვარი გადაიწერა მოკრძალებით თავი დაუკრა ვაჭარს და წავიდა თავისთვის, ვაჭარმა კი დამცინავი ღიმილით მას თვალი ვააყოლა.

იმ ღამეს ვაჭარმა საკვირველი სიზმარი ნახა; დაესიზმრა ვითომც ის მიდის მხიარული და სიხარულით აღვსილი თვით იესო ქრისტეს ქმესახვედრათ და ხელში მისგან აშენებულ ტაძარი მაქვს.

— უფალო, — ეუბნება ის იესოს, — მიიღე — ჩემი შრომით და სიმდიდრით შენ სახელზე აშენებული ტაძარი!

უფალმა კი თავი დაღუნა, პირი იბრუნა, მიწისაკენ დაიხარა და იქ ხელების ფათურით რაღაცას ძებნა დაუწყო.

— სად არის ის კაპეიკიანი, — ბრძანა მან, — რომელიც შენ გუშინ ღორღში გადაისროლე?! ჩემთვის ის კაპეიკიანი აყველაზე უძვირფასესი.

ამ სიტყვებზე გამოედვინა ვაჭარს, მღელვარებისაგან სულს ვერ ითქვამდა, ადგა საჩქაროთ, გაიქცა იქ, სადაც ღორღი იყო დაყრილი და სადაც მან გუშინ კაპეიკიანი გადაისროლა და დაუწყო მას ძებნა. მთელი ღორღი გადააბრუნა და ბოლოს როგორც იყო იპოვა ის. მან აიღო ის გახვრეტილი კაპეიკიანი და აკოცა.

— მე ღირსიც არ ვარ, რომ ეს შეწირულება მივიღო, — აღტაცებით წარმოსთქვა ვაჭარსა; — გაუყარა კაპეიკიანს ძაფი და ჩამოკიდა ის იესო ქრისტეს ხატზე, როგორც დაუფასებელი შეწირულება.

აღ. ღორღელი.





# პატარა გმირი.



ას ერქვა ემილ ღებრე.

ის იყო შვილი-შვილი ერთი მოხუცი სერჟანტისა, ნაპოლეონის ძველი გვარდიის შთამომავალისა. პაპა ზამობას უწევდა ემილს, რომელსაც მამა, ოთხი წლის რომ იყო, მაშინ მოუკვდა.

მის ღედას ჰქონდა ვენახი და ვენახის გვერდით სულ პატარა სახლი ყვავილეზით შემოსილი; ამ სახლში იღვა ღებრეს სახლობა.

ემილი ჯერ ცხრა წლისა არ იქნებოდა, რომ პაპამ დაუწყა თოფის სროლის, ცხენოსნობის და კურვის სწავლება.

— ეს ყველაფერი გამოგადგება, პაწიავ, როდესაც ღეთის შემწეობით მეომარი გახდები, — ეუბნებოდა მას პაპა, — მე შემიძლიან კიდეც ბევრი რამ გასწავლო: სამალავების გაკეთება, მიწაზე ჰიანქველებსავით ჩუმათ ცოცვა, ხეებზე ასვლა და ხმლებით დაჩეხა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ შენ ჯერ პატარა ხარ, მე კი ძალიან მოვხუციდი, სიბერეც მხნეობა წამართვა.

ემილი წყენით უპასუხებდა:

— მე ნურც აგრე პატარა გგონივარ! ხეებზე შენზე მარჯვეთ ავცოცდები. სამალავების გაკეთებას და ხმლებით დაჩეხასაც კარგათ შევიძლებ.

ემილის ღედა, ქერა ანტუანეტა, გაუბეღავათ ლაპარაკში ჩაერეოდა:

— რაში გინდა მაგეების ცოდნა, ჩემო ბიჭუნია? თითქოს მართლა მეომარი იყო? თითქოს ღდეს-ხვალ მოველოდეთ ომს და ომში გასაგზავნათ შენისთანა პატარები გვესაქიროებოდის?...



ის ალერსით ჰკოცნიდა შვილს და ხუჭუქ თმებზე ხელს უსვამდა. მოხუცი პაპა გაჯავრებული ბუტბუტებდა:

— რას როშავ! კაცი ყოველთვის მზათ უნდა იყოს საომრათ. თუ ომი დღეს-ხვალ არ იქნება - ერთი ან ორი წლის შემდეგ ხომ უსათუოთ იქნება. გგონია რომ საფრანგეთი როდისმე აპატიებს გერმანელებს სედანის აღებას და შურს არ იძიებს? შენ გგონია რომ იარა აგრე მალე გამთელდება და ელზას-ლოტარინგიას წართმევისთვის გული არ შეგვტკივ? ან განა მოვიწვევებთ გერმანელების ბაქიობას?

მოხუცი სერჟანტი მიუბრუნდებოდა მაშინ თავის შვილ-შვილს, თავის ჯერ კიდევ მაგარ და ღონიერ ხელს დაადებდა ყმაწვილს გამხდარ მხარზე და ეტყოდა:

— დამიგდე ყური, პატარავ, რაც უნდა მოხდეს შენ მაინც არ უნდა დაივიწყო, რომ შენი პაპის პაპა იყო ნაპოლეონის სალდათი და ყოველთვის გამარჯვებული დროში ხელში ჯარს წინ მიუძღოდა. გესმის, პატარავ, შენ არას დროს არ უნდა დაივიწყო რომ ძველი გვარდიის შთამომავლობისა ხარ.

ემილი თავისი ლურჯი, ჭკვიანი თვალებით გადახედავდა ხოლმე პაპას და დინჯათ ეტყოდა:

— გესმის, პაპავ! არ დამავიწყდება.

და ამას ყმაწვილი ისეთი კილოთი იტყოდა, რომ მოხუცი სერჟანტი მას ლურჯ თვალებში ჩაატკერდებოდა და ამპარტავენათ გაიღიმებდა.

ომიანობა დაიწყო. ემილი თორმეტი წლისა იყო. ის ფრინველს ტყვიას არ ააცდენდა ფრენის დროსაც კი და ცხენზე ისე მარჯვეთ იჯდა, თითქოს ზედ დაბადებულაო.

სოფელ ლურმიდან, სადაც ცხოვრობდა დეპრეს სახლობა, საომრათ ბევრი ხალხი გავიდა. მოხუც სერჟანტსაც უნდოდა ომში წასვლა, მაგრამ ღენერალმა უთხრა:

— ჯერ შენი დრო არ დამდგარა. ბევრნი გყვანან და მოხუცებულებს ჯერ ხელს არ ვახლებთ. მოსალოდნელია რომ გერმანელები ლურმშიაც შემოვიდნენ. საჭიროა იქაც დაუხვდეთ... ხომ მიხვდით, რასაც გეუბნებით?

მოხუცი სერჟანტი სახლში გულ დაწყვეტილი დაბრუნდა და თან ბუტბუტებდა:



— გერმანელების დახვედრას სოფელში ჩემი ეპილოგით მოახერხებს. მე კი, მადლობა ღმერთს, ჯერ ჯარშია. შემიძლია ბრძოლა. ვერც ის გავიგე რომ მითხრა: გერმანელებს თქვენსა დაუხვდითო. უნდა გავაძლოთ ისინი და რბილ ქვეშაგებში ჩავაწვინოთ? თუ ტყვიები უნდა დავუშინოთ? მაგრამ მე, სოფლის მცხოვრებს, ხომ ნება არ მექნება სროლისა! ესეც არის, რომ არც შემოსულ მტერს ექნება ნება, რომ უწყინარი მცხოვრებლები ამოგვწყვიტოს. მაგრამ განა გერმანელებს მაგას მოვსთხოვთ! ისინი ხომ მხეცურათ ობობენ!

და მოხუცი სერჟანტი მუშტს სასტიკათ იღერებდა.

მალე ლურმში დაქრილები გამოჩნდნენ. სოფლელების კითხვებზე გაკვირით პასუხს იძლეოდნენ: იქ გერმანელებია... სწვამენ და სცარცვამენ... ტყვიებს არ ზოგავენ სასროლათ. აი, იქ ორი მღვდელი და ერთი ქალაქის თავი დახვრიტეს... რაველში ქალები გააუბათიურეს... ყმაწვილები შუბზე ააგეს... როგორც მხეცები ისე ომობენ... კიდევ უარესათ... მხეცები მათზე უფრო ღმობიერები არიან.

დაქრილები გზათ გაივლიდნენ, მცხოვრობლები კი ამ ამბით შეწუხებულნი და აღელვებულნი გაიძახოდნენ:

— როგორ, მღვდლები დახვრიტეს! ყმაწვილები შუბზე ააგეს! შეუძლებელს ამბობენ... აგრე არ იქნება. ველურებს ხომ არ ვეომებით!

მოხუცი სერჟანტი მხრებს იწევდა და ამბობდა:

— ვინა თქვა რომ გერმანელები ველურები არ არიან? ვის უნახავს, რომ ისინი სხვა ხალხივით სვინილისიერათ იბრძოდნენ? ხომ არავის უნახავს! — მერე ქერა ანტუანეტას მიუბრუნდებოდა და ეტყოდა:

— როდესაც იმ ავაზაკების ხროვა ჩვენ სოფელში შემოვა, შენ სარდაფში უნდა დაიმალო. არ მინდა რომ ეჩვენო მათ, გესმის?

ავაზაკების ხროვა მართლაც მალე შემოვიდა.

ეს მოხდა დილა აღრიანათ. ვენახზე ბურუსი ჯერ კიდევ გადაფარებული იყო და ბალახზე ცვარი ისევ იდვა. სოფლის მტერიან ქუჩაში ჯერ ფრანგების ცხენოსანთა გუნდი შემოვარდა. ცხენების თქარა-თქური მოისმა, თოფი გავარდა. ამას



მოხყვა ზედი ზედ სროლა, წივილ-კივილი და მთავრად სოფელი  
ლი ფეხზე დადგა.

სოფლები შეშინებულნი, ნახევრათ შიშველნი, სახლე-  
ბიდან გამოვარდენ.

ერთი ახალგაზრდა ფრანგის ცხენოსანი აფიცერი აჩქარე-  
ბით ბრძანებას იძლეოდა: გერმანელები ფეხ-და-ფეხ მოგვდე-  
ვენ, დიდ-ძალი რიცხოვანი. ჩავსაფრდეთ აქ. ნუ დავნებდე-  
ბით. მალე ჩვენები მოგვეშველებიან თოფ-ზარბაზნებით. მაშინ  
მათ შავ დღეს დავაყენებთ, ახლა კი...

ახლა კი გერმანელების ზუჩებს\*) მზეზე პრიალი გაჰქონ-  
და და ავაზაკთა გუნდი ერთ მუჟა მამაც ფრანგებს დაეცა.

თოფების ტყაცა ტყუცი, ტყვიის სტვენა, გატეხილი ფან-  
ჯრის მინების წკარა-წკური, ცხენების ხეიხვინი და თქარა-  
თქური, ყვირილი, კნესა, წყევლა-კრულვა, ლანძღვა-გინება,  
სულ ერთათ შეერთდა, და ატყდა ჯოჯოხეთური ხრიან-  
ცელი.

ემილ დებრეს ამ დილის რიტრატზე ძლივს მოესწრო  
მზრებზე კურტკის წამოგდება, ის ფეხ-შიშველი, დილის სი-  
ცივით აკანკალებული იდგა თოფით სახლის კიბეზე და მზათ  
იყო მტერს დასცემოდა.

პაპამ მოიხმო ყმაწვილი.

— ახლავე დედასთან წადი, პატარავ, სარდაფში ჩაიყუ-  
ნე და იქ ისე დამალე რომ ვერც ერთმა ძე ზორციელმა ვერ  
იპოვოს. მისი მდგომარეობა უფრო საშიშია ამ ურჯულოებ-  
ში ვიდრე ჩვენი.

ემილმა ხმა ამოუღებლივ თავით ანიშნა რომ გაიგო და  
ერთ წამს გაქრა. რამდენსამე წუთს შემდეგ ყმაწვილი ფერ-  
მიხილი ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდა.

— დედა წავიყვანე და დავმალე. ძალიან ტიროდა—  
მაგრამ არაუფრია... იცი რომ ჩვენ ვენახში დაქრილი  
ფრანგი ცხენოსანი გდია! უნდა შევიყვანოთ სახლში და  
ქრილობა შევეუხვიოთ. ფეხში და გულშია დაქრილი.

ემილი ამას საქმიანათ და დალაგებით ლაპარაკობდა. იგი.

\*) თითბრის ქულები.



ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა სველ ბალახზე და თან მოხუც სერჟანტი მიჰყავდა.

პაპა-შვილიშვილმა დაქრილი სახლში წამოიღეს, იარები შეუხვიეს და ანტუანეტას ქვეშაგებში ჩააწვინეს.

— აქ უფრო რბილათ იქნება, — თქვა ემილიმა.

დაქრილი ჩუმათ კენესოდა და სიმწრით ტუჩებს იკვნეტდა.

— როგორმე... უნდა გავუძლოთ... სანამ ჩვენები მოგვეშველებოდნენ... — ბუტბუტებდა დაქრილი. — მხოლოდ ერთი საათი კიდევ... ერთი საათი.

ფრანგების ერთი მუჟა რომელიც ლომებივით გააფრთებული იბრძოდა — საღამომდის გაუბკლავდა მტერს.

ღედა-მიწა ბევრი სისხლისაგან ჩაშავდა და მისი სუნით ჰაერი მოიწამლა. სოფლის ვენახები მოწეული ყურძნით მთლათ გათელილი იყო ცხენების ნალგებით და დაქრილი ზემოების ფართხალით. აქა-იქ აფეთქებული სახლების დამწვარი ხეებიდან შავი კვამლი აღიოდა; ამ საღამო ჟამს ცა მთლათ გაწითლებული იყო შორეულ და მახლობელ ადგილებში წაკიდებულ ცეცხლისაგან.

ომობდნენ სასტიკათ, ახირებით, გააფრთებით. გერმანელები გაბრაზებული იყვნენ მოპირდაპირის შეუპოვარი წინააღმდეგობით. ფრანგები სამჯერ ნაკლებნი იყვნენ, მაგრამ შუა ცეცხლში ვარდებოდნენ და ღმუილით, წყევლა-კრულვით ხვდებოდნენ ხმლებით აკუწვას.

ბოლოს ეს მამაცი ერთი მუჟა ხალხი დანებდა...

მოხუცმა დეპრემ უკანასკნელმა გაისროლა თოფი. ის და სამი სხვა ფრანგი ერთ სამტრედეზე ასულიყვენ და იქიდან სეტყვასავით უშენდნენ გერმანელებს ტყვიებს. მარჯვე და ცქვიტი ემილი კატასავით იპარებოდა და თოფის წამალს აწვდენდა მათ.

როდესაც თოფის სროლა შეწყდა და გადარჩენილი გერმანელები სოფლის ორ ღობეში გაოჩნდნენ, მოხუცმა სერჟანტმა გადასდო თოფი. მას ჩაშავებულ დანაოქტებულ სახეზე ყოველი ძარღვი უკანკალებდა, თვალების ქუთუთოები ამოსწითლებოდა.

იგი დაიხარა შვილი-შვილისკენ და წასჩურჩულა:

— მე აქ ჩასაფრებული დავრჩები, შენ კი, პატარავ,





ემილს თვალები აენტო, ხმა არ გასცა და საწოლს მიუახლოვდა. გერმანელმა ხელ-ახლათ შეჰყვირა:

— არ გესმის შე ლაწირაკო! შედეგი შე წყეულო, როგორ ბედავ, რომ გინდა მაგას წყალი დააღვეინო! დეე, ჩაძაღლდეს.

მაგრამ ემილმა მანც დაჭრილს თავი აუწია და რამდენიმე წვეთი წყალი გადააყლაპა.

იმავ წამს ყმაწვილს კინჩხში მაგრათ ჩაჭკრეს და მიაგდეს კუთხეში.

გერმანელმა აფიცრმა სიბრაზით კბილები მიაკრაქუნა და დაუყვირა ყმაწვილს:

— შე არამზადავ! შე ლეკვო! დახვრიტეთ ეგ ახლავე, დახვრიტეთ, გესმისთ!

ორმა ჯარის კაცმა ყმაწვილს ხელი სტაცეს და კინწის კვრით გაიგდეს ეზოში.

აქ მათ შემოეხვია შეზარხოშებული მყვირალა ბრბო.

ემილს ვიღამაც ჩაართყა, ვიღაც სწვდა ხუჭუჭ თმაში... ყმაწვილი ხმას არ იღებდა, ხოლო თვალეები მეტის მეტათ უბრწყინავდა. მას სახე ხელსახოცით აუკრეს, ბადის ერთ კუნჭულში მიიყვანეს, ღობესთან დააჩოქეს. მან გაიგონა, რომ თოფებს სასროლათ ამზადებდენ... აი ახლა, ან ახლა ესვრიან თოფს...

ერთბაშათ გერმანელი აფიცრის ხრინწიანი ხმა მოისმა. იმას ბანი მისცა სხვა მთვრალეებმა, ატყდა ხარხარი... რაღაც ფაცა-ფუცი იყო, რაღასაც მძიმეს მოათრევდენ...

ემილს თვალეებიდან ჩამოხსნეს ხელსახოცი და მან სახლის გამოსავალში დაინახა დაჭრილი ფრანგის გამოტოლი სხეული. გერმანელი აფიცერი სიცილით ფრანგის შუბლზე უთითებდა და უხვირო კილოთი უყვიროდა:

— აი, აქ ესროლე ბიჭო, თოფს მოგცემთ და უსათუოთ შუბლში უნდა მოახვედრო. მან წყალი გთხოვა— შენ ტყვიით გაუმასპინძლდი. . რა სასაცილო იქნება! აბა გაისროლე, პირდაპირ შუბლში მოარტყი. თუ მოჰკლავ—გაგანთავისუფლებთ.

ემილს თოფი ხელში ჩაუდეს; ყმაწვილმა გამოართვა, მთლათ გაფითრდა, მუხლზე დაეშვა და ფრანგ მეომარს დაუმიზნა...

გერმანელები კმაყოფილნი იცინოდნენ... უცბათ, ერთ წამს, ემილმა დამიზნებული თოფის ლულა მოაბრუნა გერმანელ აფიცრისკენ და გაისროლა.

გერმანელი ხმა ამოუღებლივ მიწაზე გაიშოტა. ემილი ძალიან მარჯვე მსროლელი იყო და ტყვია შიგ შუბლში მოხვდა გერმანელს და არა ფრანგს. პირველ წამს გერმანელები გაშტერდნენ, მერე მხეცური კიეინით მივარდნენ ყმაწვილს, რომელიც თავმომწონეთ, ამაყათ იდგა მათ წინ. მხეცებმა ერთ წამს შუბზე ააგეს იგი და მისი პატარა გვამი ჰაერში აიტაცეს.

ემილს ხმა-კრინტი არ ამოუღია. იქნება ის კი გაიფიქრა გუნებაში, რომ კვდებოდა ისე, როგორც ძველი გვარდიის შთამომავალს შეჰფეროდა.

(თარგმანი)

ანანტ. წერეთლისა.



## გაზეთის ისტორია.



ჩვენს დროში რა მნიშვნელობა აქვს გაზეთს ყველამ კარგათ იცის. ყოველ დღე, დიდ ქალაქებში ორჯერ-სამჯერ დღეში, ის აუწყებს რა ხდება დედა-მიწაზე. მთელ დედა-მიწაზე გადაქიმულია ტელეგრაფის მავთუ-

ლები და მათი საშუალებით თვალ-ყურს ადევნებენ ყოველისფერს. რომ არაფერი გამოეპაროთ, იქ სადაც ამ მავთულებს გზაზედ ზღვები და ოკეანები გადაეღობება, ეს მავთულები ზღვის ძირში ჩავლენ, რეზინაში გახვეულნი, რომ არ დასველდნენ. იქ ეს მავთულები, კაბელები, განაგრძობენ დაუღალავ მუშაობას. მთებში გაყვანილთ დიდ მანძილზე, გვირაბებში, დღის სინათლისაგან დამალულთ, ამ მავთულებს გადააქვთ ერთი ადამიანისაგან მეორე ადამიანთან აშბები.

სადაც უნდა მოხდეს რაჟე ყურადღების ღირსი, რამდენიმე საათის განმავლობაში ათას, ათი ათას ვერსტზედ გადააქვს ეს ამბავი და მოჰფენს მთელ დედა-მიწას, მისწვდება ყოველ მიყრუებულ კუთხეს, სადაც კი არის ადამიანი. ყველა ასეთ ცნობებს ჰკრეფს გაზეთი, ბეჭდავს მრავალ ფურცლებათ, რომ ყველამ გაიგოს ახალი ამბავი. და თუ საქმე ყურადღების ღირსია, გაზეთი შენიშნავს მას, დაწვრილებით ანვითარებს მის მნიშვნელობას.

ამ რიგათ გაზეთის საშუალებით ხალხები, რაც უნდა დაშორებული იყვენ ერთმანეთისაგან მანძილით, იგებენ ერთი მეორის ამბებს, უხარიათ სხვისი ბედნიერება, სწუხან, როდესაც უბედურება ეწვევა ვისმეს: წყალ-დიდობა, ცეცხლი, მიწის ძვრა, გემის დაღუპვა, ყველაფერს ამას გაზეთი გვაცნობებს და მისივე საშუალებით დახარალებულებს უგზავნიან შემწეობას. ამ



რიგათ, როდესაც დაიღუპა უდიდესი გემი „ტიტანიკი“ განდგომის საშუალებით მოედო დედა-მიწას ეს ამბავი და ყველამ ჩვენგანმა გამოვაცხადეთ თანაგრძნობა. მაგალითათ ვინმე გამოჩენილი ადამიანის სახელს დღესასწაულობენ. ისევ გაზეთი გვაცნობებს ამას. ყოველ მხრიდან მოდის მოლოცვა. მაგრამ გაზეთი მარტო ასეთ ამბებს არ გვატყობინებს. ადამიანებს აქვთ საერთო სურვილები, ფიქრები, მისწრაფებანი და აი, როდესაც ვინმეს მოუვა აზრათ გამოსთქვას რამე ახალი აზრი, რომელიც გამოსცვლის ცხოვრებას, იგი გაზეთის საშუალებით აცნობებს სუყველას ამ აზრს და ყველა ერთათ გაზეთებში მართავენ სჯა-ბაას იმის შესახებ თუ როგორ განხორციელდეს ეს აზრი, როგორ გაუადვილდეს ადამიანს ცხოვრება, როგორ გახდეს ცხოვრება შინაარსიანი და ბედნიერი. გაზეთი არა მარტო ახალი ამბების გადმომცემია, არა, ის აერთებს, აკავშირებს ადამიანებს, უჩვენებს მათ აზროვნების გზას. ამისა მისი უდიდესი მნიშვნელობა.

ბევრი ტექნიკური გაუმჯობესობა ხელთ აქვთ ეხლანდელ გაზეთებს: ტელეგრაფი, ტელეფონი, წყალში დამალული კაბელი, ყოველისფერს აცნობებს მას. ეს ყოველისფერი იკრიფება, იბეჭდება ტიპოგრაფიებში, საბეჭდავ მანქანებზე; რამოდენიმე საათის განმავლობაში ათასობით და ათი ათასობით იბეჭდება გაზეთის ფურცლები, ურიგდება ქალაქში და იგზავნება სხვა და სხვა ადგილებში. მაგრამ ასეთი ტექნიკა ხომ დიდი ხანი არ არი რაც შემოიღეს! თვით რკინის გზაც ხომ დიდი ხნის შემოღებული არ არის. სულ რამდენიმე ათეული წლის საქმეა.

მაშ როგორ სწარმოებდა საქმე უწინ? იყო თუ არა ყოველთვის გაზეთი?

არა. მაშ უგაზეთოთ როგორ მიდიოდა იოლათ ადამიანი?

გაზეთის მაგივრობას რა უწევდა? როგორ გაჩნდა გაზეთი?

უწინდელ დროში ადამიანი სცხოვრობდა პატარ-პატარა ოჯახებათ: თვითეული ოჯახი დაშორებული იყო ერთი-მეორისაგან. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ დროში გაზეთები არც იყო და არც მის საჭიროებას გრძნობდენ. პატარა სოფლებში რაც ხდება, ისეთაც სუყველამ იცის. სოფლებს



საყურადღებო ბევრი არაფერი ჰქონდა. ყველა უცხო—მისი მტერი იყო. აგრეთვე ძველ პატარა თავისუფალ სახელმწიფოებშიაც გაზეთს არ საჭიროებდნენ. ამბებს აცნობებდა გზირი. შემდეგ, საშუალო საუკუნოებში, როდესაც უკვე გამრავლდა პატარა ქალაქები, მაშინაც აგრე რიგათ არ იყო საჭირო გაზეთი, რადგანაც ყოველი პატარა ქალაქი თავისი მცხოვრებლებით დიდ რიცხოვანი არ იყო და სრულებით არ საჭიროებდა შეეტყო თუ რა ხდება სხვაგან, მათ ქალაქის გარეთ სხვა ქვეყნებთან არაფერი აკავშირებდა. თუ მოხდებოდა რამე არა ჩვეულებრივი, ომი, ან გარდაცვლებოდა ხელმწიფე, ამას გამოაცხადებდნენ გზირები. გზირები ჩამოივლიდნენ ქალაქს, ბუკი-ნალარით შეაგროვებდნენ ხალხს და შეატყობინებდნენ ახალ ამბავს. იქ კი, სადაც დიდი სახელმწიფოები იყო, დიდი ტერიტორია, იქ საჭირო იყო, რომ დედა-ქალაქთან კავშირი ყოფილიყო. როდესაც რომაელების სახელმწიფო გაფართოვდა, როდესაც რომაელებმა დაიპყრეს ბევრი პროვინციები, როდესაც მან გაავრცელა თავისი ბატონობა ხმელეთთა შუა ზღვის ნაპირებზე, მაშინ გზირები ვეღარ შეასრულებდნენ თავის დანიშნულებას. იმას, ვინც კი იღვა პროვინციის სათავეში უნდა კარგათ სცოდნოდა, რაც ხდებოდა დედა-ქალაქში და მთელ სახელმწიფოში. და აი დედა-ქალაქში ბევრს პროვინციებს ჰყავდათ თავისი ამბების მომწოდებელი, კორესპონდენტები, ესენი აცნობებდნენ საგულისხმო ცნობებს. მათ ნება ჰქონდათ სახელმწიფო კრებებზე დასწრებოდნენ და მათვე უნდა სცოდნოდათ ყოველისფერი, რაც ხდებოდა პროვინციებში. გამოვიდნენ ასპარეზზე ერთგვარი პირები, რომელნიც ჰკრეფდნენ ცნობებს და ყოველისფერს ატყობინებდნენ რომში თავის უფროსებს. როდესაც იულიოს კეისარმა დაიპყრო ახალი პროვინციები და რომი გარდაიქცა უდიდეს სახელმწიფოთ, მაშინ მარტო მმართველებს კი არა, არამედ კერძო პირებსაც ესაჭიროებოდათ შეეტყუათ, რა ხდება სხვა და სხვა სახელმწიფოს ადგილებში. ამიტომაც იულიოსმა დაადგინა შემდეგი წესი: ყველა ცნობებიდან, რაც კი პროვინციიდან მოვიდოდა, უნდა ამოეჩიათ ყოველი დიდ-მნიშვნელოვანი. ამ ცნობებს გააკრავდნენ დიდ ფიცრებზე; ამ ფიცრებს გამოჰკიდებდნენ მოედნებზე, რომ ყველას წაეკითხა.



ეს ფიქრები ეხლანდელ აფიშებს მოგაგონებდათ, შინაარსი კი სხვა იყო. აქ გამოცხადებული იყო რომაელების ჯარის გამარჯვების ამბავი, სხვა და სხვა განკარგულება, სხვა და სხვა ადგილებზე დანიშვნა ამა თუ იმ პირისა. აქვე გამოცხადებული იყო კერძო ცნობები—ვისიმე დიდი პირის დაკრძალვა, ცეცხლის გაჩენა, გასართობების ცნობა... ასეთ განცხადებებს ერქვა „ყოველდღიური ამბები რომაელ ხალხისა“. აგრეთვე სხვა ფიქრებსაც გამოჰყენდნენ, მხოლოდ შინაარსი კი სხვა იყო. გამოუფენილი იყო სია იმ კითხვებისა, რომელნიც გარიჩეოდნენ მმართველობის სხდომებზე, აქვე იყო დაწერილი თუ როგორ გადაწყდა იქ ეს თუ ის საკითხი. ამ განცხადებების წაკითხვა რასაკვირველია შეეძლოთ მხოლოდ რომის მცხოვრებლებს, და ამიტომაც გაჩნდნენ გადამწერლები, რომელნიც გადასწერდნენ რამოდენიმე პირს და შემდეგ გაგზავნიდნენ ამ ამბებს სხვა და სხვა კუთხეებში. იქ ეს ამბები მოედანზე გამოუფენილი იქნებოდა წასაკითხათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ განცხადებებს ჩამოხსნიდნენ და შეინახავდნენ სახელმწიფო არქივში.

როდესაც დაიღუბა რომაელების სახელმწიფო და გერმანელებმა დაიპყრეს მათი მიწები, რომის კულტურაც დაიღუბა სახელმწიფოსთან ერთათ. გერმანელები ძლიერ ჩამორჩენილნი იყვნენ რომაელებთან შედარებით, ტყუილათ კი არ ეძახდნენ მათ ბარბაროსებს. ევროპა ძლიერ დაქვეითდა მათი გაბატონების შემდეგ. ყოველისფერთან ერთათ დაიღუპნენ ის პირობებიც, რომლებმაც შეჰქმნეს ეს გაზეთის მზავისი განცხადებები.

მაგრამ კაცობრიობის წინ მსვლელობის შეჩერება არ შეიძლება. და არც კულტურის აღმოფხვრა. ქალაქები ისევ გახდნენ მრეწველობის და ვაჭრობის ცენტრებათ. თუმცა ხალხი ვაჭრობით და მრეწველობით არ კმაყოფილდება, მაგრამ ერთი ხალხი იცნობს მეორე ხალხს, ჰგზავნის თავის ნაწარმოებს, მოაქვს უცხო ქვეყნის ნაწარმოები. ამგვარათ ფართოვდება საქმე, კეთდება სავაჭრო გზები, პატარა სახელმწიფოების მმართველთა შორის ჩნდება საურთიერთო საქმეები. საჭირო ხდება მტრის მოგერება, ან ერთ ხელმწიფის მეზარველობის



ქვეშ ყოფნა. ამიტომ აუცილებელ საჭიროთ ხდება სხვა სხვა ცნობების გადაცემა, გაგება სად რა ხდება.

პირველ ხანებში ადვილი იყო ამბების გადაცემა. გააზრდნიდნენ შიკრიკს წერილით, მაგრამ შიკრიკს იშვიათათ გზავნიდნენ, რადგან მისი გაგზავნა ადვილი არ იყო, ძვირათ ჯდებოდა. გზები ცუდი იყო, ყველგან დაიარებოდნენ ყაჩაღები და ბევრი გაჭირვება უდგა წინ, სანამ შიკრიკი მიახწევდა დანიშნულ ადგილას. მაგრამ დრო გადიოდა და ასეთ შიკრიკებს უფრო და უფრო ხშირათ გზავნიდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ წესათ შემოიღეს შიკრიკების გზავნა ერთი სადგურიდან მეორემდის. სადგურზე შიკრიკი გადასცემდა წერილს და დაბრუნდებოდა თავის ბინაზე, მეორე შიკრიკი მესამეს გადასცემდა და ამ რიგათ წერილი დანიშნულ ადგილას მიახწევდა.

ყველაზე ადრე ასეთი ფოსტა შემოიღეს მონასტრებში და უნივერსიტეტებშიც მიჰბაძეს მათ. ეს უკანასკნელნი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდნენ განათლების დამცველათ. ამიტომაც მინისტრებიდან გადასცემდნენ ხოლმე შიკრიკის ხელით ამბებს, რომელნიც ახსიათებდნენ როგორც შინაურ, აგრეთვე გარეთ მომხდარ საქმეებს, ყოველისფერს რაც კი ეხებოდა უნივერსიტეტის გარეშე ცხოვრებას, განათლებას, განვითარებას; მონასტრებს აიძულებდა ასეთ ფხიზლობას სარწმუნოების გასაფრცხვლებლათ არა ქრისტიანებთან ბრძოლა და სხვა და სხვა რჯულთან დაობა.

გარდა ამისა მონასტრებს აკავშირებდა ის რომ ყველა მონასტრები ემორჩილებოდნენ ერთ პირს, რომის პაპს, რომელიც იყო მათი ხელმძღვანელი და მუარველი.

ამ მიზნით უკვე XII და XIII საუკუნოებში ამ დაწესებულებათა შორის გამართული იყო მიწერ-მოწერა.

XIV და XV საუკუნოებში ვაჭრობის და მრეწველობის განსავითარებლათ უკვე გაიმართა ფოსტის მიმოსვლა. ეს იყო ხელშეკრულობა, რომლის ძალით ქალაქები უგზავნიდნენ ერთმანეთს ცნობებს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს გაჭირვებაში და უბედურებაში.

ამას შემდეგ მალე იმართება ფოსტა კერძო პირთა შორის — თუმცა ეს კერძო პირები არიან მმართველები, სახელ-



ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
ცენტრი

მწიფო მოღვაწეები, უნივერსიტეტის მოსამსახურეები, ფესორები. მიწერ-მოწერა უფრო გახშირდა მაშინ, როდესაც გამწვავდა პოლიტიკური და რელიგიოზური კითხვები ევროპაში. ამ დროს შემოიღეს წესათ, თუ წერილი საყურადღებო იყო — მისი გადაწერა რამდენიმე ფურცელე, რამდენიმე ეკზემპლიარათ და აქეთ-იქეთ დაგზავნა ნაცნობებ შორის იმ მიზნით, რომ მერე ამათ წაკითხვის შემდეგ, გაეგზავნათ ნაცნობებისათვის.

ამ რიგათ წერილები და სხვა და სხვა ცნობები ეკუთვნოდა არა ერთს პირს, არამედ ბევრ პირებს ერთათ. ამ გვართ ამბებმა და ცნობებმა დაჰკარგეს თავისი კერძო ხასიათი და მიიღეს საზოგადო ხასიათი. ეს იყო პირველი ნაბიჯი, გახეთქის დასაარსებლათ.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ახალი ამბები, ყოველნაირი ცნობები უფრო ადვილათ გარდაიცემოდა ისეთ ადგილებში, რომელნიც იმყოფებოდა დიდ სავაჭრო გზების ახლო. იქ შეხვდებოდენ ერთმანეთს შიკრიკები, მოგზაურები, სტუდენტები, მოსწავლენი სხვა და სხვა ქალაქებიდან. ეტყოდენ ერთმანეთს, რა მოხდა იქ, საიდანაც მოდიოდენ ესენი. ამ რიგათ გაგებულს გაავრცელებდენ სხვა და სხვა მხარეს. ამიტომაც ბევრს მმართველს ასეთ ადგილებში ჰყავდა დაქირავებული ისეთი პირები, რომელნიც დაუყოვნებლივ შეატყობინებდენ სხვებს გაგონილ ამბებს.

ასეთ ადგილებათ ითვლებოდა: კონსტანტინოპოლი, ვენა, კრაკოვი, რომი, ვენეცია, გენუა, გამბურგი, რიგა, ანტვერპენი, შუა გულ ევროპაში — ლიონი, სტრასბურგი, ფრანკფურტი (მაიანის) და ყველაზე უფრო ნიურნბერგი.

რამდენადაც უმჯობესდებოდა ამბების და ცნობების გარდაცემის საქმე, იმდენათ უმჯობესდებოდა საშუალება მათი გარდაცემისა. XV საუკუნის მეორე ნახევარში ზოგიერთი სახელმწიფოები ავრცელებდენ მცხოვრებთა შორის ერთგვარ ფურცლებს, რომელნიც შეიცავდენ რამე ამბავს ფრიად საგულისხმოს ან საინტერესოს მათთვის. ამ ფურცლებს ერქვა, „რელიაციები“, ეს ფურცლები ხელთ ნაწერი იყვენ. მაგალითათ 1488 წ. როდესაც ვენის მცხოვრებლები შეწუხებულნი იყვენ იმპერატორის მაქსიმილიანე I ამბით, რომელიც ტყვეთ ჰყვანდათ ბრიუსელში; მმართველობამ გამოაქვეყნა ისეთს



„რელიაცია“, რომელშიაც აწერილი იყო, თუ საქმე ნამდვილათ როგორ მომხდარიყო. ასევე იქცეოდნენ სხვა აღმსარებლებშიაც. ბექვდის გამოგონების შემდეგ ეს „რელიაციები“ დაბეჭდილი გამოდიოდა, და ამან გააადვილა მათი გამოცემაც და გავრცელებაც. ესეთი წესი უფრო გავრცელდა, როდესაც 1493 წ. რომში წაიკითხეს წერილი კოლუმბისა.

ამ წერილში ის იწერებოდა ამერიკის აღმოჩენის ამბავს. იმდენათ საინტერესო იყო ეს წერილი, რომ ათასობით გადაიწერა და გადაიბეჭდა, გარდაითარგმნა სხვა ენებზე და მოედლო მთელ ევროპას. ამერიკის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ ცხოვრების გაღვიძებაში. ბედის მაძიებელნი ასობით და ათასობით გაემგზავრნენ ახალ ქვეყანაში. მათ იზიდავდა სიმდიდრე, უცნაური ქვეყანა და ოქროს მოპოება. მათ გაჰყვენ სავაჭრო ხომალდები, რომ წამოეღოთ ევროპაში უცხო საქონელი.

იმართებოდა ახალი სავაჭრო გზები, ძლიერდებოდა ახალი კავშირი ადამიანთა შორის. აუცილებელ საქიროებათ გარდაიქცა სწორი და ჩქარი მიწოდება ამბებისა და ცნობებისა. შემთხვევით ამბის გაგება, ან კერძო წერილის წაკითხვა არ აკმაყოფილებდა ადამიანს. საქირო იყო სისტემატიური ცნობა, შედარება ცნობებისა, რომელიც მოდიოდა სხვა და სხვა კუთხეებიდან.

ასეთი შეგროვება ახალი ამბებისა ხდებოდა ზოგიერთ კულტურულ ქვეყნებში ამერიკის აღმოჩენამდეც. მაგალითათ ვენეციაში, რომელიც მდებარეობდა იქ, სადაც სავაჭრო გზები გამართული იყო აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ, სადაც ამის მიზეზით განვითარდა უძლიერესი რესპუბლიკა, რომელსაც ჰყავდა თავისი ელჩები ყოველ სახელმწიფოებში, აი იქ XV საუკუნის განმავლობაში წესათ ჰქონდათ ახალი ცნობების შეკრეფა; ამ ცნობებს ჰკრეფდნენ სხვა და სხვა წყაროებიდან: ელჩების და დესპანების წერილებიდან, ჩამოსულ ზღვაოსნების და ვაჭრების ნალაპარაკებიდან. ამ ცნობებს გადასწერდნენ და აცნობებდნენ მხოლოდ მმართველს და აგრეთვე ელჩებს.


შემდეგში კი შეგროვილი ცნობები გადაიბეჭდებოდა ფურცლებზე, და მათი წაკითხვა შეეძლოთ წარჩინებულ პი-



რებს, მდიდარ ვაჭრებს. ეს ვაჭრები იყენებდნენ ამ ცნობებს თავის სასარგებლოთ. ასეთი ცნობების შეკრეფა და შედარება მოაწესრიგეს გერმანიის მდიდარმა ვაჭრებმა: ნიურენბერგში, აუფსბურგში და სხვა ქალაქებში.

მალე ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს კერძო პირებმაც, თავისთვის კი არა, არამედ საზოგადო საქიროებისათვის. გაჩნდა იმგვარი ხალხი, რომლისათვის ამ ცნობების შეგროვება ხელობათ (პროფესიათ) გარდაიქცა.

(დასასრული შემდეგ).



მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

ყოველდღიური საბაჟოტიკო და სალიტერატურო გაზეთი



# სახალხო ფურცელი

წელიწადი მებუთე.

მომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

## სურათებიანი დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიად

### ს ა მ ს ჟ ი გ ნ ს.

გაზეთის ფასი დამატებიანთ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 25 კაპ.

ტელეგრაფული ფასები ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“ почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ

НА ГАЗЕТУ

# „Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

### Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб 50 коп.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Д. М. Думбадзе. Издатель Э. З Горделадзе.



# ჯ ე ჯ ი ლ ი

საემანწვილო ნახატებიანი ჟურნალი.  
ოცდა მესამე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, ჰეტარებისათვის და მოწოდებულათვის.

**ქურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ედირება  
4 მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—„ჯეჯილის“ რედაქციაში,  
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

- ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძეს.
- მიხაილოვში**—ვლად. ჩიქოვანს.
- სამტრედიაში**—რაჟდენ ნანეიშვილს.
- სიღნაღში**—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
- ჭიათურაში** ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.

ფოსტის აღრეხი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

ჯეჯილის 1914 წლის ხელის მომწერლებს  
ვინც ქურნალის ფაქს სრულად გადაიხდის  
სახლქრათ გაეგზავნებათ  
დასურათებული წიგნი.

„კ უ ნ რ უ ლ ა“